აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№104 (25.128) 29 დეკემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 14-19, მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 752 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

გვილოცავენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რამდენიმე დღეც და ახალი, 2024 წელი შემოაბიჯებს. არაერთი საინტერესო ფაქტით იყო გამორჩეული 2023 წელი, თუმცა, მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება, რომელმაც მნიშვნელოვანი პერსპექტივები გაუჩინა როგორც ჩვენს ქვეყანას, ისე საზოგადოებას

ჩვენმა რესპოდენტებმა რამდენიმე სიტყვით შეაფასეს 2023 წელი და საზოგადოებას, ქართველ ხალხს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს.

მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:

- ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მინდა მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი! მშვიდობის, კეთილდღეობის, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2024 წელი ჩვენი ოჯახებისთვის! 2023 იყო წარმატებებისა და გამარჯვებების წელი, რომელიც ჩვენმა ერთიანობამ მოიტანა. დარწმუნებული ვარ, ერთიანი ძალისხმევით გავაგრძელებთ ჩვენი ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას, ქვეყნის გაძლიერებასა და კიდევ უფრო მეტ განვითარებაზე ზრუნვას.

ვახტანგ ღლონტი, პოეტი:

- ერთი სევდიანი ლექსი მაქვს ახალ წელზე, სიმართლეცაა და ჩემს განწყობასაც გამოხატავს.

გილოცავ, ჩემო სამშობლოვ,
ცოცხლები რომ ვართ, გილოცავ...
თაფლის გემო აქვს შენს შხამსაც,
ცრემლის გემო აქვს ღვინოსაც.
რით მოდის წელი ახალი -
რა ღმერთმა დაადგინოსა...
აწყობს კი, ჯვარი და ვაზი,
ნეო ნოეს და ნინოსა?!
არ დალეოდეს პატრონი
შენს ხიხანსა და ხინოსა...
მოყვარეს გახარებოდეს,
მოძულეს მოეწყინოსა.
გილოცავ, ჩემო სამშობლოვ,
წესი არის და, გილოცავ...
გეპოვოს შენი ადგილი
უპოვარ-უადგილოსა!

ირაკლი სირაბიძე, ანსამბლ „ელესას“ ხელმძღვანელი, ქედის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე:

- ქედის კულტურის ცენტრის ანსამბლებისთვის წარმატებული აღმოჩნდა 2023 წელი, არაერთ გასტროლზე იმყოფებოდნენ და არაერთი აღიარება მოიპოვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებას და ფესტივალს ვუმასპინძლეთ. ტრადიციულად, კარგად აღინიშნა „ქედელობა“ და განსაკუთრებით ფესტივალი „განდაგანა“, რომლის მუსიკალური რეჟისორი გახლდით. ვფიქრობ, მომავალი წელი წარმატებული იქნება ანსამბლ „ელესასთვის“, რადგან ვგეგმავთ რიგით მეოთხე ალბომის ჩაწერას და გამოშვებას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთით დამდეგი ახალი წელი მივულოცო სრულიად საქართველოს. თითოეულ ადამიანს ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება, ჩვენს რაიონს - უამრავი სტუმარი, კულტურის სფეროს წარმომადგენლებს კი შემოქმედებითი წარმატებები.

ნინო ნიშარაძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი:

- ჩვენი სამინისტროს პრიორიტეტია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რასაც წელს ნამდვილად მივაღწიეთ - მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაიზარდა 8 მლნ ლარით და 2024-ისთვის დაიგეგმა 52 მილიონამდე ლარით გაზრდა. ეს თითქმის ორჯერ მეტია იმაზე, რაც სამინისტროს ჰქონდა პანდემიის პერიოდში. ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებულ ყველა სერვისს ფარავს როგორც ცენტრალური, ასევე, ჩვენი სამინისტრო, თუმცა მედიცინა ვითარდება და გვაქვს ვალდებულება ჩვენი მოსახლეობის წინაშე, რომ ყველა მნიშვნელოვანი გამოწვევა და მათი ფინანსური რისკები მინინუმამდე დავიყვანოთ. გვაქვს კარგი შედეგები უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, გვყავს 11 ახალშობილი და 16 ფეხმძიმე ქალბატონი, რამაც გაგვაბედინა პროგრამის არეალის შემდგომი გაფართოება. მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, ჯანმრთელობა და მშვიდობა გისურვოთ. წარმატებული წელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის და კიდევ დიდ გამარჯვებას ვუსურვებ სრულიად საქართველოს!

იხ. გვ-5 გვ.

თორნიკე რიჟვაძემ 2023 წელი შეაჯამა და დაგეგმილი სიახლეები გაგვაცნო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ რეგიონში 2023 წელს მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, პირველად, ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი მიუახლოვდა მილიარდიან ნიშნულს, კონკრეტულად კი 726 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, მისივე ინფორმაციით, ხუთჯერ აღემატება 2012 წლის ბიუჯეტს

- კიდევ ერთხელ მსურს, მოგილოცოთ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა - საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რაც ხელისუფლების სწორი და ეფექტური მუშაობის შედეგია. 2023 წლის ბოლოს მინდა კიდევ ერთხელ ვისაუბრო იმ კონკრეტულ მიმართულებებზე, რომელიც დაგეგმილი და გათვალისწინებული გვაქვს 2024 წლის ბიუჯეტში. ჩვენი მთავრობის, ხელისუფლების მთავარი ამოცანა ადამიანებზე ზრუნვაა და ეს არ არის მხოლოდ უბრალო სიტყვები, ეს გამოიხატება ყველა იმ სოციალური პროექტის მხარდაჭერაში, რომელიც მნიშვნელოვანია აჭარის მცხოვრებლების კეთილდღეობისა და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის. ამ მიმართულებით, ბათუმის მერიასთან ერთად, ვახორციელებთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ პროექტს „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის ფარგლებშიც ათ მისამართზე მიმდინარეობს ახალი, უსაფრთხო საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. ძალიან მალე 400-ზე მეტი ოჯახი მიიღებს თანამედროვე საცხოვრებელ ბინებს. ასევე, ჩვენ ვასრულებთ „ოცნების ქალაქის“ პირველი ფაზის მშენებლობას, სადაც დაკმაყოფილდება 582 ოჯახი. მეორე ფაზის ფარგლებში, რომლის განხორციელებაზეც, ზოგადად, 100 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ხოლო მომავალი წლისთვის - 17 მილიონი ლარი, აბსოლუტურად ყველა ოჯახი იქნება დაკმაყოფილებული. აქვე აღვნიშნავ, რომ 12 მისამართზე მიმდინარეობს ავარიული სახლების, მრავალბინიანი კორპუსების გამაგრება, შესაბამისად, 600 ოჯახი გააგრძელებს უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას. დღეს, მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილია შესაბამისი განკარგულების წინადადებები, რომლის ფარგლებშიც, კერძო დეველოპერების ჩართულობით, 70-ზე მეტი ოჯახი მიიღებს ახალ, თანამედროვე საცხოვრისს. აღსანიშნავია, რომ გაზრდილია დაფინანსება აბსოლუტურად ყველა მიმართულებით. ძალიან მიხარია, რომ განსაკუთრებით ჯანდაცვის და სოციალური პოლიტიკის ნაწილში გვაქვს არაერთი სიახლე. შევძელით, რომ პრაქტიკულად ყველა ძირითადი სამედიცინო საჭიროება მოქალაქეებისთვის იყოს დაფინანსებული აჭარის ბიუჯეტიდან. ამ მიმართულებით აღვნიშნავ, რომ ვიწყებთ გულის ქირურგიის სრულ დაფინანსებას, ასევე, იზრდება დაფინანსება ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის პაციენტთა კვლევების და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმართულებით. აღსანიშნავია უშვილობის პროგრამის გაფართოება, რომელიც პილოტურად დავიწყეთ აჭარაში, შესაბამისად, პედაგოგებსაც მიეცემათ აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა. იზრდება დაფინანსება ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის კუთხით, მომავალ წელს დაგეგმილია და 120 ეკომიგრანტი მიიღებს შესაბამის დაფინანსებას საცხოვრებელი სახლების შესყიდვის მიზნით - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

იხ. გვ-7 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

2023 წელი – აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსების თვალით

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2023 წელი საქართველოსთვის პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი აღმოჩნდა. წლის დასაწყისში იყო აქციები, რაც „უცხოური გავლენების შესახებ“ კანონპროექტს მოჰყვა, დაპატიმრებებიც, ასევე ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი ამბავი, თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 2023 წლის 14 დეკემბერს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ქართველი ხალხის ბრძოლამ, საქართველოს მთავრობის შრომამ და მიზნისკენ სწრაფვამ შედეგი გამოიღო. კანდიდატის სტატუსი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დამსახურებულად მიიღო, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპისკენ

ეს წელი პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალიან აქტიური იყო. მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის დაპირისპირება. ქვეყნის ისტორიაში პირველად დადგა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი.

ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ შექმნა საერთო პლატფორმა მომავალი არჩევნებისთვის და ერთად აგრძელებენ ბრძოლას.

ასევე, ამ წელში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, შეიძლება ითქვას, ჩამოიშალა - პარტიიდან წავიდა ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია თანამებრძოლებთან ერთად. ზოგადად, არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაში“, არამედ მთლიანად ოპოზიციაში შეინიშნებოდა გარკვეული რყევები.

მოდის 2024 წელი, პოლიტიკურად უფრო აქტიური და ცხელი წელი, რადგან წინ საპარლამენტო არჩევნებია... როგორ აფასებენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები 2023 წელს და რას გამოარჩევენ პოლიტიკური პროცესებიდან?

ირაკლი თავდგირიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

- 2023 წელს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, – მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და საუბარს, თითქოს ჩვენი არჩევანი არის სხვა გზა, წერტილი დაესვა, რეალურად გაცხადდა, რომ მივდივართ ევროპის გზაზე. არის სხვა გზა, მაგრამ ჩვენთვის ეს გზაა ღირებული. ასევე, აღსანიშნავია, ოპოზიციის ნახევრად დაშლაც. ჯერ კიდევ 2021 წელს ვამბობდი, რომ ოპოზიცია არ იყო შეკრული და საერთოდ არ ფიქრობდნენ მომავალზე. ისინი მხოლოდ თავიანთ თანამდებობებზე იყვნენ კონცენტრირებულნი, რაც წელს ფაქტებით დადასტურდა. ასევე სხვა პარტიებმაც ვერ შეძლეს სრულფასოვნად არსებობა, ისინი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ ირგვლივ პოლიტიკურ დივიდენდებს იღებენ და ასე ცდილობენ შევიდნენ პარლამენტსა თუ საკრებულოებში. 2023 წელი ძირითადად, პოლიტიკური თვალსაზრისით, მშვიდი წელი იყო. გვქონდა ბევრი გამოწვევა, შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. ვფიქრობ, რომ ჩვენც, ნაწილობრივ, მივიღეთ იმაში მონაწილეობა, რომ კანდიდატის სტატუსი მიეღო ქვეყანას, ახლა კი ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გვაქვს დარჩენილი, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ წელს ბათუმის ბიუჯეტის ზრდა გვაქვს, რაც ძალიან სასიხარულოა. 2024 წელი დიდი გამოწვევის წელია არჩევნებიდან გამომდინარე და მეტი სიფრთხილე გვმართებს, რათა ქვეყნისთვის ზოგიერთ საზიანო ძალას არ მივცეთ ქვეყნის არევის საშუალება. ჩვენი მიზანია, ადამიანებს არ შეეზღუდოთ არჩევანის უფლება და არ მიიღონ გადაწყვეტილება.

რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:

- 2023 წელი გამორჩეული იყო თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც ხალხის დამსახურებით მოხდა. მე მჯერა, რომ ამ ნაბიჯს 2024 წელს მოჰყვება ოლიგარქიის დამარცხება და ჩვენს ქვეყანაში ახალი ევროპული სტანდარტები დამკვიდრება. ვფიქრობ, ამ კუთხით ბევრი სამუშაო გვაქვს, დასამარცხებელია სიღარიბე, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა 2023 წელს. ეს წელი ჩემი პოლიტიკური გუნდისთვის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ განსაკუთრებული აღმოჩნდა, რადგან პარტიიდან წავიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც უნდოდათ წასვლა. ამ მხრივ, პარტია დაუბრუნდა ადამიანებს ჩვენი გუნდიდან, რომლებიც ყოველდღიურად შრომობენ გადამწყვეტი არჩევნებისთვის. მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია ის, რომ პოლიტიკაში მყოფი თითოეული ადამიანი უნდა დაფიქრდეს ამ ქვეყნის მომავალზე. ვისურვებდი, 2024 წელი ყოფილიყოს გამარჯვებისა და წარმატების წელი.

არჩილ სამნიძე, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი:

- 2023 წელი, ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, იქნება ეს მძიმე, თუ ჩვენი ქვეყნისთვის პოზიტიური შინაარსის მატარებელი ფაქტებით გაჯერებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იყო 2024 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელი წელი. 2023 წლის დასაწყისი გამორჩეულად მძიმე აღმოჩნდა სამოქალაქო დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის და ორგანიზაციებისთვის, როცა საქართველოს პარლამენტში დაინიცირებულმა „უცხოური გავლენების შესახებ“ კანონპროექტმა ნათლად გამოაჩინა ხელისუფლების ნება, ქვეყანაში მაქსიმალურად შეზღუდოს კრიტიკული აზრი. ცხადია, ამ ფაქტს მოჰყვა საზოგადოების მღელვარება და შესაბამისად, მასობრივი საპროტესტო აქციებიც. ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია და პირველი მოსმენით მიღებული კანონი უკან გაიწვია. ამ აქციებში, ჩვენი პარტიის თავმჯდომარე - გიორგი გახარიაც იღებდა მონაწილეობას ახალგაზრდა თანამოაზრეებთან ერთად, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე. აგრეთვე 2023 წელს შეგვიძლია ვუწოდოთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის ევროკომისიის მიერ დაკისრებული აუცილებლად შესასრულებელი რეკომენდაციების შეუსრულებლობის წელიც. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის შესასრულებელი 12 რეკომენდაციიდან, ხელისუფლებამ მხოლოდ 3 შეასრულა, რაც ევროკომისიის დასკვნაშიც ჩაიწერა. მაგრამ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ურყევი ნებისა და რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანას მიეცა ისტორიული შანსი და ამ სტატუსის მიღებით თაობების ბრძოლას, შრომასა და ქართველი ხალხის ნებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ხელისუფლებისა და რიგი ოპოზიციური პარტიების საბოტაჟის მცდელობების მიუხედავად, ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად, თუმცა ჯერ მხოლოდ საწყისი ეტაპია და სტატუსი დარჩება სტატუსად, თუ დარჩენილი 9 რეკომენდაციის იმპლემენტაცია არ მოვახდინეთ და შემდგომ წევრობისთვის მოლაპარაკებები არ დავიწყეთ. მიუხედავად მძიმე გამოწვევებისა, ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი 2023 წელს აღნიშნული სტატუსის მიღება იყო. ვსარგებლობ შემთხვევით და ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს ქვეყანას და მოქალაქეებს. აქტიურად მუშაობდა ჩვენი პარტიაც, როგორც ამ მიმართულებით, ასევე ქვეყნისთვის საჭირო სხვა ამოცანების შესასრულებლად. ამ წელს, ისევე როგორც წინა წელს, ყველა კვლევით - პარტია „საქართველოსთვის“ ყველაზე მზარდი რეიტინგითაა წარმოდგენილი პოლიტიკურ აქტორთა შორის. საკმაოდ გაძლიერდა ასევე რეგიონული წარმომადგენლობები და პარტიის ლიდერი, გიორგი გახარია უშუალოდ ჩართულია თითქმის ყველა პარტიულ-ორგანიზაციულ პროცესში. ამ მხრივ, მომავალ უმნიშვნელოვანეს წელს აქტიურობას და მუშაობის გაორმაგებას ვაპირებთ. დამდეგ 2024 წელს გილოცავთ ყველას. ნაყოფიერი და წარმატებული წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენს სახელმწიფოს კი მოახლოებული პოლიტიკური ცვლილებების წელს ვუსურვებ, რადგან აღნიშნულზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის ევროპული მომავალი და შესაბამისად, ჩვენი - თითოეული მოქალაქის პერსპექტივაც.

გენო თეზიძე, პარტია „ლელოს“ პოლიტსაბჭოს წევრი აჭარიდან:

- ძალიან მძიმე და მნიშვნელოვანი წელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. მიუხედავად, „ქართული ოცნების“ ჩვენთვის გაუგებარი და რუსეთისთვის მაამებელი პოლიტიკისა, ქართველმა ხალხმა დამსახურებულად მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც, უდავოდ, დიდი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა არ შეიძლება, დაგვავიწყდეს, რა ძალისხმევის ფასად დაუჯდა ეს საქართველოს მოსახლეობას და რა განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამოქალაქო სექტორს, მედიას, ახალგაზრდებს და პროდასავლურ ოპოზიციას. მათ, ასე ვთქვათ, უკან დაახევინეს „ქართულ ოცნებას“ და არ მისცეს ევროპული მომავლის დაკარგვის საშუალება. ეს მათი გამარჯვებაა და ეს უნდა გვახსოვდეს! რა თქმა უნდა, ვემზადებით 2024 წლის საპარლამენტო და უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის. უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია, რა მიმართულებით გაგრძელდება ამ ქვეყნის მომავალი: რუსეთისკენ, რასაც „ქართული ოცნება“ ცდილობს, თუ ცივილური სამყაროსკენ, რასაც პროდასავლური პარტიები, ახალგაზრდებთან და სამოქალაქო სექტორთან ერთად ცდილობენ. მხოლოდ ერთ წელიწადში 70 ათასი ახალგაზრდა წავიდა ბედისა და სამუშაოს საძებნელად უცხოეთში. ეს ის რესურსია, რომელზეც უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნის მომავალი აგებული. არ უფრთხილდება „ოცნება“ ამ სიმდიდრეს და ჩვენი მიზანი ამ ქვეყანაში დაბრუნება და ქვეყნის ერთად შენების სურვილია. პირდაპირ ახდენს „ოცნება“ საქართველოს რუსიფიკაციას, „ლელოს“ პოლიტიკა კი ასეთია, რუსეთის მოქალაქეებს დაუწესდეს სავიზო რეჟიმი, სანამ ოკუპირებული იქნება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიები, აიკრძალოს პირდაპირი ფრენები, მიწების მიყიდვა, რუსული პროპაგანდისტული არხები, რუსული სანომრე ნიშნით გადაადგილება, რუსული კომპანიების საქართველოს ტენდერებში მონაწილეობა, რუსებისთვის უძრავი ქონების გადაფორმება. უნდა მოხდეს 26 ათასი რუსული კომპანიის საქმიანობის შესწავლა, რამდენად გამჭვირვალეა მათი საქმიანობა. როგორც იცით, 23 დეკემბერს „ლელო საქართველოსთვის“ მეორე ყრილობა გაიმართა. ერთხმად ავირჩიეთ პარტიის თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე და პოლიტსაბჭოს 20-წევრიანი შემადგენლობა. ყრილობა იმითაც გამოირჩეოდა, რომ კანდიდატებზე ხმის მიცემა ფარული კენჭისყრით მიმდინარეობდა. ეს იყო გამჭვირვალე და დემოკრატიული პროცესი, სხვა პარტიების არჩევნებისგან განსხვავებით. უმთავრესი გზა გასავლელი გვაქვს ჩვენს მოსახლეობასთან ერთად და ეს მზადებაა 2024 წლის გადამწყვეტი არჩევნებისთვის. თუ გვინდა უკეთესი საქართველო სამუშაო ადგილებით, ხარისხიანი განათლებით და ჯანდაცვით, აუცილებელია „ოცნების“ ხელისუფლებიდან გასტუმრება, ევროკავშირის რეკომენდაციების პირნათლად შესრულება და გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება, რასაც „ქათული ოცნება“ არ გააკეთებს და ეს პასუხისმგებლობა კოალიციურმა მთავრობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

რა დაინახეს დადებითი ერთმანეთის ნამოქმედარში დაპირისპირებულმა პარტიებმა?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2023 წელი მიიწურა, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლარიზაციის შემცირება, სამწუხაროდ, არ შეინიშნება. წელს, ბევრჯერ ვნახეთ პარლამენტში პარტიებს შორის ჩხუბი და დაპირისპირება



პოლიტიკოსთა პოლარიზაციის ძირითადი მიზეზი მაინც ქვეყნის განვითარების განსხვავებულ ხედვაზეა დაფუძნებული. პოლიტიკა პოლარიზებულია, როდესაც პარტიებს შორის შეხედულებები რადიკალურად განსხვავებულია, არ არსებობს თანხმობის წერტილი.

მთავრობაში ამბობენ, რომ ოპოზიცია 2012 წლიდან მოყოლებული, არ აღიარებს არჩევნების შედეგებს, ისინი ვერ იღებენ მოქალაქეების არჩევანს, რომ ხალხი მათ მიაკუთვნებს ოპოზიციის როლს და ზუსტად ეს იწვევს პოლარიზაციას, ოპოზიციაში კი ამბობენ, რომ არ გაითვალისწინებენ „რუსული ოცნების“ მოსაზრებებს და არ ემხრობიან იმ ქმედებებს, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

საბოლოო ჯამში, მთავრობა ქვეყანას თავისი შეხედულებისამებრ მართავს და ოპოზიციის აზრს ნაკლებად ითვალისწინებს, ოპოზიცია კი სულ მთავრობის ლანძღვაშია და მისი მთავარი სურვილი და მოთხოვნა ხელისუფლების შეცვლაა. ქვეყანაში ორი პოლიტიკური ბანაკია, ხელისუფლება და ოპოზიცია. ანუ ისინი, ვისაც ძალიან უნდა მთავრობაში დარჩენა და ისინი, ვისაც ძალიან სურს იქ მოხვედრა. ცვლილებათა მომხრედ მხოლოდ ერთი პარტია არ იგულისხმება, აქ მთელი ოპოზიციური ჯაჭვია.

აბა, გავიხსენოთ, როდის გვინახავს ოპოზიცია და პოზიცია ე.წ. მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილი და ქვეყნის საჭირბოროტო საქმეზე მოსაუბრე? ძნელად თუ გაიხსენებთ. შეკრების და საუბრის ადგილი პარლამენტია, მაგრამ იქ დაბალ ხმაზე საუბარი და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების განხილვა ჩხუბით და აყალმაყალით სრულდება.

2023 წლის 14 დეკემბერს ჩვენს ქვეყანაში ისტორიული დღე გათენდა, მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და იდეაში ეს დღე საერთო ზეიმი უნდა ყოფილიყო, ურთიერთობებიც ცოტა მაინც უნდა დამთბარიყო, მაგრამ, რა გასაკვირია და, ოპოზიციამ და მთავრობამ ცალ-ცალკე აღნიშნეს ეს ისტორიული მოვლენა, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქის, მთავრობისა და ოპოზიციის ერთიანი დამსახურებაა.

ჩვენს ქვეყანას სჭირდება მშვიდობა, მშვიდობის საწინდარი კი შიდაპოლიტიკური ურთიერთობის დათბობაა. შეუძლებელია ხელისუფლება და ოპოზიცია ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ აუცილებლად უნდა ეცადონ პოლიტიკური პოლარიზაციის შესუსტებას. ჩვენც, გარკვეულწილად, გვინდა ხელი შევუწყოთ პოლიტიკური პოლარიზაციის განმუხტვას და შევეცადეთ, პარტიებს ერთმანეთის ნამოქმედარში ერთი დადებითი მაინც ენახათ. უნდა გითხრათ, რომ ამ „ექსპერიმენტის“ მონაწილეთა პოვნა ძალიან გაგვიჭირდა, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთში დადებითის დანახვის სურვილი არ გააჩნიათ, თუმცა ექსპერიმენტი მაინც შედგა. ეს პირველი ცდაა, იმედია, არა - უკანასკნელი.

ცოტნე ანანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“:

-კანდიდატის სტატუსით ვხვდებით ახალ 2024 წელს, რისთვისაც ძალიან ბევრი შრომა და ბრძოლა დასჭირდა თაობებს. კიდევ უფრო მეტი სამუშაოა წინ. რაც შეეხება ამ ნაწილში ოპოზიციის მონაწილეობას მინდა აღვნიშნო, რომ ოპოზიცია იყოფოდა კანდიდატის სტატუსის მიღების მსურველებად და ამ სტატუსის მიღების მოწინააღმდეგეებად, რადგან ოპოზიციაშიც არსებობდა განსხვავებული ტიპის ოპონირება. იყვნენ ოპოზიციონერები, რომლებიც საერთაშორისო შეხვედრებზე ამბობდნენ, რომ საქართველო რეფორმებით, სტაბილურობით, ისტორიული ცხოვრებით, კულტურული შეგნებით იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. ამ ადამიანების ნაწილში ნამდვილად უნდა იყოს პოზიტიური განწყობა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაწილი ოპოზიციისა საპირისპიროდ იქცეოდა. ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც მთავრობასთან ევროორეკომენდაციების შესრულების კუთხით თანამშრომლობდა, რა თქმა უნდა, შეიტანეს პოზიტიური წვლილი პარტიებს შორის დეპოლარიზაციის საქმეში. დეპოლარიზაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპული პოლიტიკური თანაცხოვრების კუთხით. არ უნდა იყოს რადიკალიზმი,

იხ. მე-3 გვ.

2023 წლის პოლიტიკური მოზაიკა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ცოტაც და... 2023 წელი ისტორიის კუთვნილება გახდება, წელი, რომელიც საქართველოს განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ევროკავშირისკენ პირველი ნაბიჯები, კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება ამის დასტურია. ახლა ჯერი ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზეა, ამ მიზნით სწორედ თანმიმდევრული, გაცნობიერებული მუშაობა კი გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც

როგორ განვჭვრიტოთ პოლიტიკური პროცესები ახლა და სამომავლოდ? რას უნდა ველოდოთ 2024 წელს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში? - ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ასისტენტ პროფესორ ***ბიბა ფარტენაძეს.***

- თავდაპირველად საშინაო პოლიტიკაზე ვისაუბროთ, 2023 წელი საქართველოსთვის, პოლიტიკური თვალსაზრისით, რით იყო გამორჩეული?

- უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მკითხველს ვულოცავ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას. ეს არის ჩვენი ქვეყნის მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი, შეუპოვარი, მტკიცე და თავისუფლების იდეაზე დაფუძნებული ბრძოლის შედეგი, ბოლო დროს ყველაზე მნიშვნელოვანი, საგარეო პოლიტიკური ვექტორის აღიარების მწვერვალი. რაც შეეხება კითხვას, რა თქმა უნდა, 2023 წლის შეჯამებისას პირველ ადგილს, სწორედ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და თანმდევი პოლიტიკური პროცესები იკავებს, რომელიც შეგვიძლია, თავის მხრივ, სამ ნაწილად დავყოთ, პირველი - ჯერ კანდიდატის სტატუსის მინიჭების ნაცვლად, ევროპული პერსპექტივა, მეორე - ევროპული პერსპექტივა და გზა 12 რეკომენდაციიდან – კანდიდატის სტატუსის მონიჭებამდე, მესამე ფაზა კი დაიწყო დეკემბრიდან. ესაა კანდიდატის სტატუსის მონიჭება და დარჩენილი ცხრა რეკომენდაციის შესრულებისთვის მიზანმიმართული მუშაობის დაწყება. ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით რუსეთის ომს უკრაინაში, რადგან ის პირდაპირპროპორციულად კავშირში იყო, არის და იქნება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებასთან. ამის პარალელურად, არის საკითხები, რომლების შესახებ, ასევე, უნდა აღვნიშნოთ. კერძოდ, ოფიციალური თბილისის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით (უვიზო რეჟიმი და პირდაპირი ფრენები რუსეთთან, უკონტროლოდ შემოდინებული რუსი „ტურისტები“, ეკონომიკური დამოკიდებულება და ა. შ.); სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი ეგრეთ წოდებული უცხოური გავლენების შესახებ კანონთან მიმართებაში მისი შედეგები, „ნაცმოძრაობის“ გახლეჩა, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიცირება პარლამენტში; მოსამართლეებისა და ყოფილი პროკურორის დასანქცირება აშშ-ის მხრიდან; საქართველოს შრომისუნარიანი მოქალაქეების მასობრივი გადინება დასავლეთის ქვეყნებში სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით; ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმება და სხვა.

- თქვენ მნიშვნელოვანი საკითხები ჩამოთვალეთ. მათი მოგვარება რა პერსპექტივას უსახავს ჩვენს ქვეყანას განვითარებისთვის?

- საქართველო ეკონომიკურად და ინსტიტუციურად უფრო ძლიერი რომ გახდეს, უნდა გვქონდეს დამოუკიდებელი და პოლიტიკისაგან დაცლილი მართლმსაჯულების სისტემა, თავისუფალი პოლიტიკური და მედიაგარემო, მაქსიმალურად შემცირებული პოლარიზაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება მოქალაქის თავისუფლებას (სწორედ იმ მოქალაქის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და ემიგრაციაში მიდის). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია საუბარი პოზიტიურ პერსპექტივებზე. ჩვენი ამოსავალი, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, უნდა იყოს ევროკომისიის მიერ გაცემული 9 რეკომენდაციის შესრულება, რათა დავიწყოთ მოლაპარაკებების პროცესი ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით, როგორც ეს უკრაინის და მოლდოვის შემთხვევაში მოხდა. ევროკავშირში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ყველაზე ნათელ განვითარების გზად მიმაჩნია.

- ამ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. რას ფიქრობთ?

- საქართველოს პრეზიდენტის ეს რიტორიკა ორ რამეზე შეიძლება მეტყველებდეს. პირველი: ის ცდილობს, „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან განსხვავებით, შეინარჩუნოს დასავლური ღირებულებების დამცავი და გამტარი პოლიტიკური ლიდერის იმიჯი, რაც ცუდად თუ კარგად, გამოსდის, ვინაიდან თავად „ქართული ოცნების“ და მათთან აფილირებული პირები ყველაფერს აკეთებენ, მისთვის სასათბურე პირობების შექმნას ხელი რომ შეუწყონ და მეორე, რომელიც პირველისგან გამომდინარეობს, ის ქმნის ნიადაგს საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ქართულ პოლიტიკაში თავიდან შესასვლელად, რისთვისაც მანამდე არსებული (2018-2019, 2020-2021 წლებში) პოლიტიკური მემკვიდრეობის შეცვლა და ახალი ლიდერის შექმნა სურს.

- სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტმა ამას წინათ არ გამორიცხა სააკაშვილის შეწყალება. ეს რისი მანიშნებელია?

- პოლიტიკაში არაფერია გამორიცხული. ჩვენმა ქართველმა პოლიტიკოსებმა, ფაქტობრივად, ნორმად აქციეს სიტყვის გატეხვა, საერთოდ, პირობების შეუსრულებლობა... რას შეიძლება ნიშნავდეს ეს? მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ მიხეილ სააკაშვილის ფაქტორით შეიძლება იმ ელექტორატის მობილიზება, რომელიც დღეს, „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით არსებული დაპირისპირების შედეგად, გაიხლიჩა და ჰაერში დარჩა.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ მათი რეიტინგი მოსახლეობაში მაღალია და ოპოზიციის ბრალდებები (დემოკრატიის გაუარესების, სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობის შესახებ) უსაფუძვლოა...

- მიმაჩნია, რომ მმართველი გუნდის მხარდაჭერის გაზრდის ტენდენციაზე მეტად ოპოზიციის მიმართ გამძაფრებული უნდობლობა გაღვივდა მოსახლეობაში, რაც თავად ოპოზიციური ფლანგის ბრალია, ფაქტია დღეს ოპოზიცია საკუთარ თავს ვნებს „ოცნების“ სასარგებლოდ.

- გვერდს ვერ ავუვლით „ნაციონალურ მოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებს. რა სტადიაშია დღეს პარტია და, საერთოდ, ოპოზიციური სპექტრი?

- ენმ-ის დაარსებიდან დღემდე რაც ამ პარტიაში ხდება, არის უპრეცედენტო. რაც ვერ შეძლო ხელისუფლებამ, თავად „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა და მოქმედმა წევრებმა გააკეთეს - ერთიანად შეარყიეს როგორც პარტიის იმიჯი, ასევე ელექტორალური მხარდაჭერაც. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, დღეს, სამწუხაროდ, ქართული ოპოზიციური სპექტრი თავისი ქმედებებით ტოვებს განცდას, რომ დაკარგული აქვს რეალობის აღქმა.

- ყველა პარტია მოსახლეობას კეთილდღეობას ჰპირდება. ამ მხრივ, მათ რამდენად აქვთ ჩამოყალიბებული ქვეყნის განვითარების გეგმა?

- ჩვენ გვესმის პოპულისტური განცხადებები, მაგრამ როდესაც საქმე პრაქტიკაში მის განხორციელებას ეხება, ფაქტობრივად, იგივე წრეზე გვიწევს დაბრუნება.

- საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება, დასავლური მხარდაჭერა რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის?

- ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აღიარება. გარდა იმისა, რომ კანდიდატ ქვეყნებს გააჩნიათ განსხვავებული, უფრო გაზრდილი საფინანსო მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან, სტატუსი, ასევე, ზრდის ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს, უფრო მიმზიდველს, სანდოს და უსაფრთხოს ხდის ჩვენს ქვეყანაში ბიზნესგარემოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა გარანტირებული იქნება სოფლის მეურნეობის, დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის, ჯანდაცვის, ახალგაზრდობის, განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის... ზემოთ აღნიშნული სიკეთეების მიღება პირდაპირპროპორციულად ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას. ძლიერი ეკონომიკა გულისხმობს ძლიერ სახელმწიფოს, ძლიერი სახელმწიფო ნიშნავს ძლიერ მოქალაქეს და ეს ფორმულა შეიძლება ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის გასაღებად მივიჩნიოთ.

- ევროკავშირში გასაწევრიანებლად საქართველომ რა რეფორმები უნდა გაატაროს?

- საქართველოს, მანამ სანამ გაწევრიანებაზე დაიწყებს საუბარს, აქვს ის ცხრა შესასრულებელი რეკომენდაცია, რომელიც ევროკომისიამ გამოსცა. მხოლოდ ამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლა. ეს ეხება დეპოლარიზაციას, ანტიდასავლური რიტორიკის მაქსიმალურად შემცირებას, სასამართლო და მართლმსაჯულების რეფორმას, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და სხვა.

- უდავოა, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან. რას უნდა ველოდოთ მისგან სამომავლოდ?

- მას აფრთხობს ყველა ის მეზობელი, რომელიც ცდილობს, იყოს მისგან პოლიტიკურად შორს - დამოუკიდებელი და თავისუფალი. რაც უფრო დაუახლოვდება საქართველო ევროკავშირს, მით უფრო გაძლიერდება, ძლიერი საქართველო კი ნიშნავს რუსეთის გავლენებისგან მაქსიმალურად დაცულ ქვეყანას, რაც მოსვენებას უკარგავს ოფიციალურ მოსკოვს. სწორედ ამიტომ, მოულოდნელი არაფერია. მთავარია, ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება როგორ შეხვდება და გაუმკლავდება ყველა იმ ჰიბრიდულ საფრთხეს, დეზინფორმაციას თუ პროვოკაციას, რომელიც რუსეთისგან მომდინარეობს.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ, რუსეთ-უკრაინის ომი ახლა რა ფაზაშია?

- სამწუხაროდ, უკრაინის დაანონსებული კონტრშეტევა იმ წარმატებით ვერ მიმდინარეობს, რა მოლოდინიც გვქონდა, თუმცა ისიც ცხადია, რომ რუსეთი ვერ მიიწევს წინ და ბრუტალური ბრძოლები უკრაინის იმ ტერიტორიებზე მიმდინარეობს, სადაც 2022 წლის თებერვალ-მარტის თვეში იყო.

- ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი დაიღალა უკრაინის ომით და ცდილობს, ეს ქვეყანა რუსეთთან კომპრომისზე დაიყოლიოს?

- დღეს რუსეთთან კომპრომისზე წასვლა ნიშნავს დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფის, ბოროტების, ჩაგვრის, ადამიანის უფლებების დარღვევის, უდანაშაულო ბავშვების, მოქალაქეების მკვლელობის გამართლებას და რუსეთის გამარჯვებას ამ უსამართლო ბრძოლაში. კომპრომისი ტოლია რუსეთთან კოლექტიური დასავლეთის ფიასკოსი.

- კვლავ საშინაო პოლიტიკას დავუბრუნდეთ. მომავალ წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. რამდენად რეალურია, რომ ახალი მთავრობა კოალიციური იყოს?

- დღევანდელ მოცემულობას თუ დავეყრდნობით, ახალი მთავრობის კოალიციურობაზე საუბარი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციურ ფლანგზე შეწყდება შიდაპარტიული დაპირისპირებები, გამოიძებნება კომპრომისი და გასაერთიანებლად მიიღწევა კონსენსუსი. სხვა შემთხვევაში, არათუ კოალიციურ მთავრობაზე საუბარი, 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვაც კი სათუო იქნება.

- დაბოლოს, რას ელოდებით 2024 წელს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- 2024 წელს ჩვენმა ქვეყანამ იმ 9 რეკომენდაციის შესრულება უნდა დაისახოს მიზნად, რაც პირდაპირ კავშირშია როგორც საშინაო, ისე საგარეო სიკეთეებთან. თავისი არსით და მნიშვნელობით, ეფექტურად შესრულებული ევროკომისიის რეკომენდაციები ნიშნავს ინსტიტუციურად და ეკონომიკურად ძლიერ საქართველოს. გარდა ამისა, 2024 არჩევნების წელია და ამის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ველოდოთ გააქტიურებულ პოლიტიკურ გარემოს, ახალ სახეებს, ახალ იდეებს, რაც ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

> ***„საქართველო ეკონომიკურად და ინსტიტუციურად უფრო ძლიერი რომ გახდეს, უნდა გვქონდეს დამოუკიდებელი და პოლიტიკისაგან დაცლილი მართლმსაჯულების სისტემა, თავისუფალი პოლიტიკური და მედიაგარემო, მაქსიმალურად შემცირებული პოლარიზაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება მოქალაქის თავისუფლებას (სწორედ იმ მოქალაქის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და ემიგრაციაში მიდის). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია საუბარი პოზიტიურ პერსპექტივებზე***

რა დაინახეს დადებითი ერთმანეთის ნამოქმედარში დაპირისპირებულმა პარტიებმა?

მე-2 გვერდიდან

არამედ საგნობრივი თემატური ოპონირება - ხელისუფლებასა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.

ლუკა ფუტკარაძე, „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ბორდის წევრი:

- დადებითი მხარედ გამოჩნდა ის, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია, წავიდეს საქართველოს მოსახლეობის ნების წინააღმდეგ. ეს დავინახეთ მარტის აქციების დროს... ხელისუფლების მმართველობის ფორმა უკვე ნელ-ნელა გადადის რუსული რეჟიმის სტილში, როცა არ ხდება მოსახლეობის ნებისამებრ სახელმწიფოს მართვა... მაგრამ გამოჩნდა, რომ ხელისუფლება ვერ წავიდა მოსახლეობის იმ 80%-ზე მეტის წინააღმდეგ, რომელსაც სურს ევროპული განვითარება და წინსვლა. ჩვენი პარტია იმედს იტოვებს, ევროპული ამომრჩევლის ფონზე სახელმწიფო გააკეთებს ყველაფერს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი დაჩქარდეს, რისი მომხრეცაა, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიაც.

ვაშა დარჩია, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“, „ლელოს“ სარევიზიო კომისიის წევრი:

- ზოგადად, „ქართული ოცნების“ დადებით ნაბიჯებზე საუბარი ცოტა გამიჭირდება, თუმცა უფრო კონკრეტული თუ ვიქნები, ბათუმის მერიაში გამოვყოფდი ჯანდაცვის სამსახურს, როგორც პროგრამული მიმართულებით, ასევე, უშუალოდ, კომუნიკაციის კუთხით. ვისურვებდი, რომ ზოგადად, ქვეყანაში მუშაობდნენ თავისი საქმის ისეთი პროფესიონალები, როგორიც, მაგალითისთვის, არის ქალბატონი მარინა რუხაძე ან სოფო მიქელაძე, მათთან ჩემთვის, როგორც ოპოზიციონერი დეპუტატისთვის, ძალიან მარტივია კომუნიკაცია და ვერ ვგრძნობ ვერანაირ პრობლემას, სხვა სამსახურებისგან განსხვავებით.

„მისია კანდიდატის სტატუსის მისაღებად ქართველმა სპორტსმენებმა პირნათლად შეასრულეს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აღსანიშნავია, რომ აჭარაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში მაღალი მიღწევები გვაქვს. ჩვენმა სპორტსმენებმა წელს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 300-მდე მედალი მოიპოვეს. წელსვე ამოქმედდა სპორტსმენთა და მწვრთნელთა სტიპენდიების პროგრამაც. ასევე, აჭარის სამი სკოლა ერთდროულად გახდა საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებული. გაზრდილია ბიუჯეტი, სპორტულ ღონისძიებათა რიცხვი და მასშტაბები.

რა მიღწევები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს? რა კეთდება მათი წახალისებისა და მხარდაჭერისთვის? როგორია მომავალი წლის გეგმები? - ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ბადრი ნაკაშიძე** *გვესაუბრება.*

- ბატონო ბადრი, 2023 წელი იწურება, როგორ შეაფასებთ მას?

- როგორც ძალიან კარგს. ეს წელი იყო განსაკუთრებით გამორჩეული სპორტული თვალსაზრისითაც, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, ჩვენი რეგიონისთვის. სამინისტროს სპორტის მიმართულებით ორი ძირითადი პრიორიტეტი აქვს - მაღალი მიღწევები და მასობრივი სპორტის განვითარება. ორივე სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ.

- თუ შეიძლება მკითხველს გააცანით ჩვენი სპორტსმენების მიღწევები.

- სიამოვნებით. ჩვენმა სპორტსმენებმა წელს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 300-მდე მედალი მოიპოვეს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მათ შორისაა 8 მსოფლიო და 16 ევროპის ჩემპიონი. აჭარის სპორტსმენებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ, გაუწიონ კონკურენცია ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან სპორტსმენებსაც კი და ასახელონ ჩვენი ქვეყანა უმაღლესი რანგის საერთაშორისო ჩემპიონატებზე. განსაკუთრებით მსურს გამოვყო ჩვენი მოჭიდავეები. აქ, მართლაც, უპრეცედენტო შედეგები გვაქვს. მაგალითად, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ლერი აბულაძე არის მოქმედი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ერთდროულად. ზუსტად იგივე მიღწევები აქვს ახალგაზრდებს შორის აჩიკო ბოლქვაძეს, რომელიც ახლახან საქართველოს ჩემპიონიც გახდა დიდებს შორის. დიეგო ჩხიკვაძე ევროპის ჩემპიონია, რომეო ბერიძე მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანია. თავისუფალ ჭიდაობაში წელს პირველად გვყავს ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი შოთა ფარტენაძე, ამავე სახეობაში საქართველოს ჩემპიონია მამუკა კორძაია, რომელიც ასევე, ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანია.

- რამდენად არიან ქალები ჩართული სპორტში და რა წარმატებები აქვთ?

- მესმის თქვენი შეკითხვის აქტუალობა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვერ დავაწესებთ რაღაც კვოტას, რომელიც განსაზღვრავს სპორტში გოგონების ჩართულობას. ეს ინდივიდუალური გადაწყვეტილებაა. ჩვენი მიზანია, გავზარდოთ მათი მოტივაცია, შევუქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის მათთვის სპორტის ნებისმიერ სახეობას, მოხსნის სტერეოტიპებს და გზას გაუხსნის ქალებს დიდ სპორტში. ძირითადად, მათ იზიდავთ სათამაშო სპორტის სახეობები, ჩვენი გოგონები ასევე შეუდარებლები არიან სპორტულ ცეკვებში, ტანვარჯიშში, ფრენბურთში, ჩერლიდინგში. თუმცა არის ისეთი სახეობებიც, ტრადიციულად, მამაკაცურ სპორტად რომ ითვლება, მაგრამ გოგონებიც აქტიურად ერთვებიან. მაგალითად, ძიუდო, კრივი, კარატე, მკლავჭიდი. რაც შეეხება მაღალ მიღწევებს, წელს ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები - სალომე მელია და ნინო ბაციაშვილი გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. მათი პატარა კოლეგები - კესარია მგელაძე და მარიამ ცეცხლაძე ევროპის ჩემპიონისა და ვიცეჩემპიონის ტიტულების მფლობელები არიან. მკლავჭიდელი მარი ნოდია ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანია. მარიამ ბოლქვაძე ჩოგბურთში პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ნინო უსუბიანმა და თეკლა ჩაჩავამ იუნიორთა შორის ბატუტზე სინქრონულ ხტომებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჩვენი გოგონები ფრენბურთში საერთაშორისო ტურნირის ვიცე-ჩემპიონები არიან, სპორტულ ცეკვებში ჩვენი წყვილი ევროპის თასის გამარჯვებული გახდა.

- ჭიდაობის გარდა, სხვა რომელ სპორტულ სახეობებში გაქვთ მიღწევები?

- რეგიონში მოქმედ 30 სპორტულ სახეობაში გვაქვს მაღალი მიღწევები და ეს წელი ამითაც გამორჩეულია. სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატი არ გვაძლევს ყველა მათგანზე საუბრის საშუალებას, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო ტაეკვონდოში ზურაბ კინწურაშვილის გამარჯვება ევროპის პირველობაზე და ევროპის ვიცე-ჩემპიონობა, რაც პირველია საქართველოს ტაეკვონდოს ისტორიაში. ძალისმიერი სახეობებიდან ასევე გამოვყოფდი თემურ სამხარაძის ევროპის ჩემპიონობას კლასიკურ ძალისმიერ სამჭიდში. ძალოსანი ზურაბ მსხალაძე ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანია. კიოკუშინკაი კარატეში დათა ფუტკარაძე, დავით მსხალაძე და მინდია მგელაძე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

- თუ არიან ისეთები, რომლებმაც წელს პირველად ასახელეს ჩვენი რეგიონი?

- ამ მხრივ შემიძლია გამოვყო მეკლდეურთა და ნიჩბოსანთა წარმატება. მეკლდეურებმა საქართველოს ჩემპიონატში მოიპოვეს ორი ვერცხლის მედალი, ნიჩბოსანთა შორის კი გვყავს საქართველოს ჩემპიონი და ასევე, ვერცხლის მედალოსანი. თუ ჩვენ არა მხოლოდ ხარისხით, არამედ მოპოვებული მედლების რაოდენობითაც შევაფასებთ ჩვენი სპორტული ფედერაციების საქმიანობას, შემიძლია გამოვყო ჭიდაობა, ძალოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ძიუდო, კრივი, კარატე, ჭადრაკი, მძლეოსნობა, ფარიკაობა, მკლავჭიდი, სათხილამურო სპორტი, ბილიარდი, მშვილდოსნობა, ათლეტიზმი, ბადმინტონი, ტაეკვონდო... დღეს სპორტი პოპულარულია და, შესაბამისად, გაზრდილია მის სახეობებს შორის კონკურენციაც.

- როგორც ჩანს, სპორტსმენთა მოტივაციაც გაზრდილია.

- პროფესიონალურ სპორტში ყოველთვის მაღალია სპორტსმენთა მოტივაცია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უდიდესი პატივია, წარმოადგენდე შენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე. რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ შეგიძლია ასახელო შენი სამშობლო, მსოფლიოს გასაგონად ააყღერო მისი ჰიმნი, ყველას გვავსებს სიამაყის გრძნობა, როცა ვხედავთ ყველაზე მაღლა მოფრიალე ქართულ დროშას. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან და ეს მხარდაჭერა მას აქვს. ჩვენი რეგიონის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ რადიკალურად შეიცვალა სპორტის დაფინანსების მოცულობა. დღეს მხოლოდ ერთი - სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის ბიუჯეტის მოცულობა აღემატება რამდენიმე წლის წინანდელ სპორტის დეპარტამენტის მთლიან ბიუჯეტს, ეს კი სპორტში უფრო მეტი ჩართულობის, მეტი წარმატების და მეტი საქმის კეთების შესაძლებლობას იძლევა.

- მათ შორის, სპორტსმენთა წახალისებისა და მხარდაჭერისათვის...

- რა თქმა უნდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გარდა ერთჯერადი ჯილდოებისა, რომლის ბიუჯეტი წელს რამდენჯერმე გაიზარდა და ჯამურად შეადგინა 1 მილიონი ლარი, წელსვე ამოქმედდა სპორტსმენთა და მწვრთნელთა სტიპენდიების პროგრამაც, რამაც გარდა იმისა, რომ კარგი მატერიალური მხარდაჭერაა მათთვის, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოპოვებული მედლების ხარისხიც და გაზარდა მათი რაოდენობაც. დღეს ჩვენ გვყავს 48 სტიპენდიატი სპორტსმენი და 24 სტიპენდიატი მწვრთნელი. 276 სპორტსმენზე ერთჯერადი ჯილდოს სახით გაიცა 600 ათას ლარზე მეტი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა მედლის უკან წარმატების ისტორიაა, ზემოთ დასახელებული მიღწევებისა და ციფრების უკანაა სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიერ გაწეული ტიტანური შრომა, დისციპლინა და ნებისყოფა, რასაც აფასებს და მხარს უჭერს სახელმწიფო, რეგიონის მთავრობა, ჩვენ ყველა.

- მასობრივი სპორტისთვის მიმდინარე წელი რით იყო გამორჩეული?

- გაზრდილმა ბიუჯეტმა მოგვცა შესაძლებლობა, შეგვექმნა ცალკე ქვეპროგრამა მასობრივი სპორტის განვითარებისათვის. მოწოდება „სპორტი ყველასათვის“, რაც ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ნიშნავს სპორტის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას და მასში მეტ ჩართულობას მიუხედავად ასაკისა, სქესისა, სოციალური მდგომარეობისა თუ სხვა. ახალი ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა ასზე მეტი სპორტული ღონისძიება. განსაკუთრებით მსურს გამოვყო ჩვენი მოსწავლეების ჩართულობა და წარმატებები. წელს, აჭარის სამი სკოლა ერთდროულად გახდა საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებული: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს (ფრენბურთელები), სოფელ ვაშლოვანის (მაგიდის ჩოგბურთი) და ბათუმის მე-8 საჯარო სკოლები (გოგონები, მინიფეხბურთი). ასევე, წელს პირველად, განსხვავებულ ფორმატში ჩატარდა ყოველწლიური რეგიონალური ტურნირი მინიფეხბურთში. მასში მონაწილეობდნენ როგორც აჭარის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები, ასევე მუნიციპალიტეტების გუნდები. მისასალმებელია, რომ თავიანთ გუნდებს ერთგულად გულშემატკივრობდნენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებიც. შემიძლია გითხრათ, რომ წლის განმავლობაში აქტიური იყო აჭარის ვეტერან სპორტსმენთა ფედერაცია, რომელიც განსხვავებულ სპორტულ ღონისძიებებს სთავაზობს ჩვენს ვეტერანებს და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი ხალისით ერთვებიან სპორტულ აქტივობებში.

- მასობრიობას განსაზღვრავს სპორტის პოპულარობაც. შეგიძლიათ გვითხრათ, რომელი სპორტის სახეობაა დღეისათვის ყველაზე პოპულარული რეგიონში?

- ჩვენი მონაცემებით, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში, რომელიც გაგვაჩნია, არის მსურველთა მატება. შეიძლება ითქვას, დატვირთვის ზღვარზე მუშაობს ბათუმის სპორტის სასახლე, სათამაშო სახეობათა სპორტული კომპლექსი, მაგრამ ბავშვებში მაინც კონკურენციის გარეშეა ფეხბურთი და ამას აქვს თავისი მიზეზები - ბათუმის „დინამოს“ უკვე ორგზის საქართველოს ჩემპიონობა და ხვიჩა კვარაცხელიას (და მასთან ერთად, ევროპის წამყვან კლუბებში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელების) ფაქტორი. აჭარის ფეხბურთის ფედერაციამ წელს ჩაატარა რამდენიმე მნიშვნელოვანი, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიება ბავშვთა ფეხბურთში. ჩვენი ბავშვები წარმატებით ასპარეზობენ როგორც შინ, ასევე, საზღვარგარეთ ჩატარებულ ტურნირებზე. კარგად ვითარდება რაგბი, როგორც ინფრასტრუქტურულ ნაწილში, ასევე, მასში მზარდი ჩართულობისა და მიღწეული წარმატებების თვალსაზრისით. წელს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები რაგბში ევროპის ჩემპიონია, მათ შორის სამი სპორტსმენი აჭარიდანაა.

- პარასპორტის მიმართულებით თუ გაქვთ სიახლეები?

- აჭარის პარაოლიმპიურმა კომიტეტმა, რომლის ბიუჯეტი ბოლო ორი წლის განმავლობაში თითქმის ოთხჯერ გაიზარდა, შესაბამისად, გაზარდა სპორტულ ღონისძიებათა რიცხვი და მასშტაბები, რომლებშიც ჩვენს პარასპორტსმენებთან ერთად მონაწილეობენ მათი კოლეგები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. სპორტის დეპარტამენტი ასევე ჩართულია ამპუტანტ ფეხბურთელთა წილობრივ დაფინანსებაში, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ გვყავს პროფესიონალი პარასპორტსმენები, რომლებიც წარმატებით გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მაგალითად, პარაკარატისტი ჯონი თოფურია მსოფლიო ჩემპიონია. მსოფლიო ჩემპიონია, ასევე, პარამკლავჭიდელი მარიამ ფუტკარაძე. წელს ეს ტიტული მან უკვე მეთხუთმეტედ მოიპოვა. წარმატებით ასპარეზობენ პარამკლავჭიდში ნათია ჩხაიძე, მარიამ აბაშიძე, მარი ქავთარაძე, ზვიად სულიკაშვილი, მშვილდოსნობაში - ზვიად დუმბაძე.

- სხვა რა აქტივობებს გამოჰყოფთ?

- სპორტის სწორი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სპორტული განათლების საკითხი, ამიტომ სპორტის დეპარტამენტმა წელს უმასპინძლა საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებდა როგორც სპორტული ორგანიზაციების გაძლიერებას, მათი მენეჯერული შესაძლებლობების ზრდას, ასევე, შესაბამის სპორტის სახეობებში მწვრთნელთა და მსაჯთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ორივე პროგრამამ მონაწილეების მაღალი შეფასება დაიმსახურა, ამიტომ ის მომავალი წლისთვისაც დაიგეგმა. სპორტული მედიცინის ნაწილში შემიძლია გითხრათ, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო სპორტში ჩართულ ბავშვთა და მოზარდთა კარდიოსკრინინგის პროგრამა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პრევენციული, ასევე შესაძლო დაავადებათა დროულად გამოვლენის თვალსაზრისით. იმედია, ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

- საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო. რა გავლენას იქონიებს ეს სპორტზე?

- ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთხელ აჩვენეს ევროპასა და მსოფლიოს, რომ ჩვენ არა თუ ჩამოვუვარდებით, არამედ ვჯობნით კიდეც ბევრ წამყვან სახელმწიფოს სხვადასხვა სახეობაში სპორტული მიღწევების თვალსაზრისით. შესაბამისად, მათზე დაკისრებული მისია კანდიდატის სტატუსის მისაღებად ქართველმა სპორტსმენებმა პირნათლად შეასრულეს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ევროკავშირის უმაღლესი ინსტიტუტები იმდენად დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტს, რომ დამკვიდრდა კიდეც ტერმინი - „ევროპული სპორტული სამართალი“. შესაბამისად, კანდიდატობიდან წევრობამდე პერიოდში ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და კანონმდებლების საზრუნავი იქნება იმ დირექტივების სრული იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში, რომლებიც დღეს არეგულირებენ სპორტის სფეროში არსებულ ურთიერთობებს ევროპის კავშირში. ამ მხრივ, ჩვენ მიერ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. კერძოდ, ჩვენი ქვეყანა, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, უკვე არის მონაწილე რიგი ხელშეკრულებებისა, რომლებიც მოქმედებენ როგორც უნივერსალურ, ასევე, ევროპულ დონეზე. მათ შორისაა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია „სპორტში კარგი მმართველობის შესახებ“.

- მომავალი წლის გეგმებზე რას გვეტყვით?

იხ. მე-7 გვ.

> *„ჩვენმა სპორტსმენებმა წელს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 300-მდე მედალი მოიპოვეს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. მათ შორისაა 8 მსოფლიო და 16 ევროპის ჩემპიონი. აჭარის სპორტსმენებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ, გაუწიონ კონკურენცია ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან სპორტსმენებსაც კი და ასახელონ ჩვენი ქვეყანა უმაღლესი რანგის საერთაშორისო ჩემპიონატებზე. განსაკუთრებით მსურს გამოვყო ჩვენი მოჭიდავეები. აქ, მართლაც, უპრეცედენტო შედეგები გვაქვს“*

ახალი წელი ტრადიციაზე მეტია

ნინო ჩხარტიშვილი 596 10 29 22

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ახალი წლის ღამეს რა განწყობითაც შეხვდებიან, მთელი წელი ისეთივე იქნება მათთვის. შესაძლებელია თუ არა უბრალო ცრურწმენამ ჩვენი მომავალი განსაზღვროს? იქნებ, არსებობს რაღაც უხილავი კავშირი ჩვენსა და კოსმიურ სამყაროს შორის, სადაც ყოველი ფიქრი წინასწარ წერს მომავალს

გაზეთ „აჭარის“ დღევანდელი სტუმარია პროფესორი ***თინა შიოშვილი,*** *რომელმაც არაერთ თაობას გააცნო ქართული ხალხური ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და აზიარა საუკონოვან სიბრძნეს. საინტერესოა მისი აზრი ამ ყველაფერთან დაკავშირებით.*

- ქალბატონო თინა, როგორ ფიქრობთ, განსაზღვრავს თუ არა ადამიანის ფიქრი მის მომავალს და შესაძლებელია თუ არა, ახალ წელს რა განწყობითაც შევხვდებით, მთელი წელი ისევე გავატაროთ?

- ადამიანის ფიქრი და ოცნება, ბუნებრივია, ბევრად განაპირობებს მისსავე გუნება-განწყობილებას და რა გასაკვირია, რომ განწყობის ხასიათისამებრ არის მომართული მისი შემდგომი ქმედებანი, რაც დიდად განსაზღვრავს მის მომავალს, დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, გარე სამყაროსადმი, მოვლენებისადმი. სოციუმი არასოდეს არის მორგებული ოდენ ერთი (თუნდაც მეტი) ადამიანის გუნება-განწყობას, ამიტომაც ადამიანი თავისი გონებრივ-ფიზიკურ-მატერიალურ შესაძლებლობათა ფარგლებში და, ამავე დროს, სოციუმის ზნეობრივ-მორალური დაკვეთის გათვალისწინებით (რამდენადაც ჩვენ სოციალური არსებანი ვართ) უნდა ცდილობდეს, გაალამაზოს, გაკეთილშობილოს ის სივრცე, სადაც ბინადრობს, საქმიანობს, სადაც უფალმა მიუჩინა ადგილ-სამყოფელი. სულ უნდა გვახსოვდეს ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი შედევრის ჭეშმარიტება:

„მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ - სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგად მთავსობდა,
თუ მე სოფელი მეთავსა;
რაც კი სოფლისად მინდოდა,
წინწინ მოვიდა ჩემს თავსა“.

ახალი წლის დახვედრა და ძველის გასტუმრება მსოფლიოს ყველა ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მყარ ტრადიციად იქცა და რომელსაც ადამიანები უკეთეს მომავალს უკავშირებენ, მტკიცედ სჯერათ, როგორი გუნება-განწყობითაც შეხვდებიან ამ სანუკვარ დღეს, ისე ჩაივლის მთელი წელიწადი. ამაზე მიუთითებს საახალწლო სამზადისის ყველა ნიუანსი.

- ცხოვრებაში თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ცრურწმენა რეალობად იქცა?

- მე, პირადად, ვერანაირ ადამიანურ რწმენას ვერ მოვნათლავდი ცრურწმენად; სულიერ-გონებრივი და ცხოვრებისეული ჩვევების განმაზღვრელი ესა თუ ის დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩვევებისადმი თუკი ოპტიმიზმს, კეთილდღეობას, სათნოებას, სამომავლო სიკეთეს ემსახურება, თუკი ოდნავ მაინც შენი ხალხის ისტორიულ გამოცდილებასთან ასოცირდება, მისაღებია და შთამომავლობისათვის შესანახ-გადასაცემი. ამ თვალსაზრისით უნდა ვუჭვრეტდეთ საუკუნეებგამოვლილ საახალწლო ჩვეულებათა მაგიურ-რელიგიურ ნიუანსებსაც, რომლებიც პროფილაქტიკური და პროდუქტიული დანიშნულებისაა და წუთისოფლის შუქ-ჩრდილების გაადვილებას, სოციუმის გაკეთილშობილებას, გამხიარულებას, უკეთესი მომავლის რწმენას ემსახურება.

- როგორი განწყობით ხვდებით შობა-ახალ წელს და რა ასოციაციებს იწვევს ის თქვენში?

- ტრადიციისამებრ, რომელიც ყველა ჩვენგანს ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, მეც და ჩემი ოჯახიც შობა-ახალწელიწადს სიხარულითა და სიყვარულით ვხვდებით. ყოველი წლის ამ მონაკვეთში ხომ ჩვენთვის ერთგვარი ანგარიშგების დრო დგება - ვაფასებთ განვლილს და ვგეგმავთ სიახლეს, რომლის განხორციელების რწმენასაც საახალწლო რიტუალის ყოველი დეტალი გვჩუქნის.

- თქვენი აზრით, როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა ახალი წლის ღამე, რომ მას ბედნიერი წელი ჰქონდეს?

- ახალი წლის ღამეს ტრადიციულად ყველა ოჯახის წევრებთან ერთად უნდა შეხვდეს, თუმცა დღეს, მრავალ მიზეზთა გამო, ყოველთვის ვეღარ ხერხდება. ერთი რამ კი სავალდებულოა და საუკუნეობრივ გამოცდილებასა და წეს-ჩვეულებებს ემყარება: ყველა ცდილობს, ამ ღამით იყოს მხიარული, შუბლგახსნილი, გულგახსნილი, სათანადოდ დახვდეს საახალწლო ხონჩით ხელდამშვენებულ „კარგი ფეხის“ მქონე მეკვლეს, ტურფად მორთული ნაძვის ხისა და ჩიჩილაკის სასიამოვნო გარემოში მიუსხდნენ სუფრას და მთელი გულით წარმოთქვან საახალწლო სმურები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებაა წარმოჩენილი, რომელთა მაგიური ფუნქციაა მშვიდობის, სიხარულის, ბედნიერების, გამრავლებისა და გახარების, კაცთა შორის სათნოების დამკვიდრება. სწორედაც, ამგვარი ასოციაციები სუფევს ჩემს ოჯახშიც, მისი დიასახლისი ხომ ეროვნული ზეპირსიტყვიერების, ტრადიციების გამოუსწორებელი ქომაგი და მიმდევარია.

- როგორ ატარებს თქვენი ოჯახი ახალ წელს, რაიმე განსხვავებული ტრადიცია ხომ არ გაქვთ?

- ვერ ვიტყოდი, რომ მაინცდამაინც სხვათაგან განსხვავებული ტრადიცია გვქონდეს ოჯახში, თუ არ ჩავთლით ერთ ნიუანსს: რაც შვილები და შემდეგ შვილიშვილები წამოიზარდნენ, აღარ სჯერათ, რომ საჩუქრებს თოვლის პაპა უგზავნით; ამდენად, აღარც საოცარ, ბავშვური გულუბრყვილობითა და უმწიკვლოებით აღსავსე წერილებს უგზავნიან მას, ძველი წერილები კი ოდენ საოჯახო არქივში ინახება და, ალბათ, მათი ავტორები ოდესმე გაიხსენებენ ბავშვობის წლებს და იმ ოცნებებსა და საიდუმლოებებს, რასაც თოვლის პაპას ანდობდნენ.

- როგორი იყო ქალბატონი თინა ბავშვობაში და როგორი არის ახლა? თქვენი გადმოსახედიდან შეგცვალათ თუ არა დრომ?

- ღრმა ბავშვობაში, რამდენადაც მახსოვს, ცელქი ვიყავი, მეზობლის ბიჭებს ტოლს არაფერში ვუდებდი - დავრბოდი, ვჭიდაობდი, იმდროინდელი ყველა საბავშვო თამაშობანი და მათი გათვლები მახსოვს და საბავშვო ფოლკლორზე საუბრისას მუდმივად ჩემივე სიყმაწვილე მიდგას თვალწინ, მას მერე კი, რაც წიგნს დავუმეგობრდი, „დავწყნარდი“, ეზო აღარ მიზიდავდა, სამყაროს შეცნობის წადილი გამეღვიძა და ერთადერთი, რაც ამა თუ იმ საინტერესო წიგნის კითხვასთან ერთად, მაბედნიერებდა, ხალხური ზღაპრების, ლეგენდა-თქმულებების მოსმენა თუ წაკითხვა იყო და, ალბათ, ამანაც განაპირობა პროფესიის არჩევანი. რაც შეეხება დროსთან დამოკიდებულებას, ბუნებრივია, ჟამთასვლა თავისი ზიგზაგებით მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს ადამიანზე; წუთისოფელს ტკივილებიც ახლავს და იმედგაცრუებანიც, თუმცა, მთავარია, არ გაბოროტდე, სიკეთის მსახურება გაიხადო ლაიტმოტივად, არ დაეცე... ჩემი პიროვნებაც ამ თვალსაწიერიდან დასანახავია.

- როგორ აღნიშნავდნენ თქვენს ბავშვობაში ბებია და ბაბუა ახალ წელს და დღეს ბევრი ცვლილებაა თუ არა ოჯახურ ტრადიციაში?

- ჩემს ბავშვობისდროინდელ ახალ წელს ვერ შეედრება მომდევნოები. ჩვენი ნაძვის ხე ჭერს ებჯინებოდა. მე და ჩემს დას დიდხანს გვჯეროდა, რომ ჩვენს პაპას ტყიდან თოვლის ბაბუა ატანდა ჩვენთან ამ ხასხასა ხეს; პაპიდასაგან ნაჩუქარი სათამაშოები კი უხვად გვქონდა, მაგრამ ბებია ჩვენი ხელითაც გვამზადებინებდა. ამას გარდა, სასოებით გამოვიღებდით შემოდგომაზე ნაძვის ხისათვის ამოვლებულ პაწია ჩურჩხელებს (კუნტელებს) და სიამაყით ვკიდებდით ათასფრად მორთულ ნაძვის ხეზე ჩვენივე ნახელავს. თითქმის ჩვენი სიმაღლის ქათქათა თოვლის პაპას მივუჩენდით თუ არა ადგილს ნაძვის ძირში, იწყებოდა კარნავალი - ლექსებითა და სიმღერებით, გამოცანებითა და ცეკვებით ვართობდით, ვეალერსებოდით და გვჯეროდა, რომ დილით საჩუქრებს დაგვახვედრებდა. ასეც ხდებოდა.

- რას ეტყვით ადამიანებს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ახალ წელს და მათთვის ეს უბრალო ტრადიციაა და მეტი არაფერი?

- ადამიანებს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ახალ წელს, თავად არ თუ ვერ ერთვებიან ამ ერთ-ერთ ყველაზე სასიხარულო დღესასწაულში, ვისთვისაც ეს ზეიმი ოდენ უბრალო ტრადიციაა, ვეტყოდი, რომ ბავშვობა გაიხსენონ, ამ ღამით მაინც დაიბრუნონ ის გულუბრყვილობა და უშუალობა, რაც ყველას ჰქონია ამ ზოგადაკაცობრიული დღესასწაულის დროს და ნახავენ, როგორ შეეცვლებათ გუნება-განწყობა, როგორ გაახარებენ ირგვლივ მყოფთ და სამყაროსაც უაღრესად დადებით, სასიამოვნო ემოციებს გაუგზავნიან, რაც ესოდენ საჭიროა და რაც აუცილებლად უკან დაუბრუნდებათ.

- ამ წელს რის შეცვლას ისურვებდით სამყაროში?

- დამდეგ ახალ წელს ვულოცავ სამყაროს, ჩემს მშობელ ხალხს, ნათესავ-მოკეთეებს, კოლეგებს, ჩემს უძვირფასეს სტუდენტებს! ძალზე გახარებული ვარ, რომ საახალწლოდ აგვისრულდა მრავალ თაობათა სანუკვარი ოცნება - ევროპული ოჯახის წევრობის კანდიდატები გავხდით, რაც ოდენ პატივი როდია, ბევრს გვავალებს... საახალწლოდ უპირველესად, ვისურვებდი, მშვიდობა დამყარებულიყოს მზისქვეშეთში, კიდევ უფრო მოგვძალებოდეს მოყვასის სიყვარული და, როგორც ჩვენი ბრძენი სახალხო მთქმელი ბრძანებს:

„გწყალობდეთ წმინდა ბასილი
დაგმარცხებიყოთ მტერია!
გამრავლდეს ჩვენი ქვეყანა,
გამრავლდეს ჩვენი ერია!“.

„ჩვენი ნაძვის ხე ჭერს ებჯინებოდა. მე და ჩემს დას დიდხანს გვჯეროდა, რომ ჩვენს პაპას ტყიდან თოვლის ბაბუა ატანდა ჩვენთან ამ ხასხასა ხეს; პაპიდასაგან ნაჩუქარი სათამაშოები კი უხვად გვქონდა, მაგრამ ბებია ჩვენი ხელითაც გვამზადებინებდა. ამას გარდა, სასოებით გამოვიღებდით შემოდგომაზე ნაძვის ხისათვის ამოვლებულ პაწია ჩურჩხელებს (კუნტელებს) და სიამაყით ვკიდებდით ათასფრად მორთულ ნაძვის ხეზე ჩვენივე ნახელავს. თითქმის ჩვენი სიმაღლის ქათქათა თოვლის პაპას მივუჩენდით თუ არა ადგილს ნაძვის ძირში, იწყებოდა კარნავალი

გვილოცავენ

პირველი გვერდიდან

მამუკა მანჯგალაძე, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი:

- მოკლედ შევაჯამებ 2023 წელს და ვიტყვი, რომ პროფესიულად, როგორც მსახიობს, საინტერესო წელი მქონდა. გაიმართა რამდენიმე სპექტაკლის პრემიერა, ასევე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გვქონდა გასტროლი. რა თქმა უნდა, უკეთესის მოლოდინით ვხვდები 2024 წელს და ვისურვებ, ბათუმის დრამატულმა თეატრმა საზღვრებს გარეთაც გააცნოს მაყურებელს თავისი ხელოვნება. მინდა, უფრო მეტი, საინტერესო და ხარისხიანი სპექტაკლი შევთავაზოთ ჩვენს უძვირფასეს მაყურებელს. ვულოცავ სრულიად საქართველოს დამდეგ შობა-ახალ წელს. სიყვარულის, სიხარულის, სიკეთის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული ჩვენგანისთვის. ვინატრებ, რომ ჩემი საქართველო და ქართველი ხალხი იყოს ძალიან ლაღი და ბედნიერი.

როი აბუსელიძე, პოეტი:

- თავისი ავკარგიანობით ჩაიარა 2023 წელმა. ცუდი რაც მოხდა, წარსულში დარჩენილიყოს, კარგი - გაგრძელებულიყოს მარადიულად. მინდა, მივულოცო სრულიად საქართველოს 2024 წელი, დაე, ყოფილიყოს მეტი სიკეთის კეთების, სამომავლოდ მეტი რწმენის, წინსვლისთვის მეტი იმედის, ირგვლივ მყოფთათვის მეტი ღიმილის, მეგობრებისთვის მეტი სიყვარულის, ჩვენი ოჯახებისთვის მეტი ბედნიერებისა და ჩვენი ქვეყნისთვის მეტი მშვიდობის მომტანი.

თეონა ზოიძე, აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი:

- 2023 წელი აჭარის მუზეუმისთვის საოცარი იყო. მონაწილეობა მივიღეთ არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის გამოვყოფ ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში გამართულ გამოფენას, რომელიც განხორციელდა საქართველოსა და აჭარის მთავრობის, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით. ასევე, გაიხსნა ახლად რეაბილიტირებული რელიგიის მუზეუმი, ჩატარდა უამრავი გამოფენა, ღონისძიება. წარმატებები გვაქვს როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო მიმართულებით. ახლახან ვიზეიმეთ ხელოვნების მუზეუმის 25 წლის იუბილე. მოკლედ რომ გითხრათ, აჭარის მუზეუმების გაერთიანებას ძალიან წარმატებული წელი ჰქონდა. დაე, მომავალი წელი როგორც ჩვენთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის და ქვეყნისთვის იყოს მეტი წარმატების, წინსვლის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მომტანი. გილოცავთ 2024 წელს!

გაზეთი „აჭარა“ უერთდება თითოეული რესპონდენტის მილოცვას. გისურვებთ ულევ სიხარულსა და კეთილდღეობას!

4 წყვილი – ერთ ჭერქვეშ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თოვლის თეთრ საბურველშია გახვეული ჭვანის ხეობის სოფლები, ჭალაში, ღვინიაშვილების უბანშიც, ხვავრიელად მოუთოვია. შარაშიძეების ოჯახამდე თოვლში გაკვალული გზით მივედით. ჩვენი მეგზური, პოეტური კრებულის „სულის მონაწური“ ავტორი, ჭალელი შოთა დიასამიძე გვამხნევებს და წინასაახალწლოდ ეთერ ქათამაძისა და ალექსანდრე შარაშიძის ოჯახში სტუმრობას გვიწონებს

- მე და ალექსანდრე ერთი თაობის ჭალელები ვართ. ის მათემატიკოსია, მე – ისტორიკოსი. სოფელსა და ქვეყანაზე მზრუნველ კაცად იცნობს მთელი ხეობა. 55 წელია, პედაგოგიურ სარბიელზე მომავალი თაობის აღზრდის რთულ და საპატიო საქმეს ემსახურება. 21 წელი ჭალის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 2005 წლიდან კი სკოლის დირექტორია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, სკოლის მოძველებული შენობა ახლით შეიცვალა, შარშან კიდევ რამდენიმე ოთახი მიუშენეს, - მიყვება შოთა დიასამიძე.

საუბარში ღვინიაშვილების აღმართი მოვილიეთ და ეზოშიც შევედით. თვალის ერთი გადავლებითაც მიხვდებით, რომ ეზოსა და კარ-მიდამოს მზრუნველი პატრონი ჰყავს.

- რა საქმე დარჩებათ გაუკეთებელი,- არ ჩერდება ჩემი მეგზური,- ოჯახში 4 წყვილი ცხოვრობს. როგორი მშრომელიც ეთერი და ალექსანდრე არიან, ისეთივე შვილები და შვილიშვილებიც ჰყავთ. მასპინძელი ჭიშკართან მოგვეგება. ოჯახში საახალწლო ფუსფუსი იყო. ეთერი და მისი ვაჟის – თამაზის მეუღლე მზია გოგრაჭაძე, სამზარეულოში ტრიალებდნენ. სამტრედიელი და ინწკირვეთელი რძლები თამუნა ზამთარაძე და ნინო ჭაღალიძე საახალწლო ნაძვის ხეს აწყობდნენ. უქმად არც მათი მეუღლეები ჯემალი და ბესიკი იყვნენ.

- დეკემბრის ბოლო დღეებში მოსულმა თოვლმა სოფლებში ელექტრობოძები წააქცია, თამაზისა და მის კოლეგებს საქმე მოემატათ. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შუახევის ცენტრის მონტიორები და ხელმძღვანელები ცდილობენ მეურნეობის აღდგენას, რომ საახალწლოდ ყველა აბონენტს დენი მიეწოდოს. თამაზი ამიტომაც იგვიანებს. მალე ისიც შემოგვიერთდება, - ამბობს ალექსანდრე.

მზია სუფრას შლის, თამუნა იმერულ ხაჭაპურს აცხობს.

- მამა - დემურალ შარაშიძე ხეობაში ცნობილი მეურნე იყო, - გვიყვება ალექსანდრე, - შთამომავლობასაც შრომა, მიწისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება გვასწავლა. ეროვნული ადათ-წესების მიმდევარი და დამცველი გახლდათ, ჩვენც მის კვალზე მოვდივართ. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ვიცი, გაზაფხულზე რომელ დღეს უნდა გავავლო ხნული, მცენარის რა თესლი რომელ დროს მივაბარო მიწას.

- ახალი წლის ტრადიციებს თუ იცავთ?

- ისევე, როგორც მთელი სოფელი. რამაზ სურმანიძის, ნოდარ შარაშიძის, მურმან ჭაღალიძის სოფელი, სიზარმაცეს ვერ ეგუება. მთელ ხეობაში ჭალას სადარი სოფელი არ არის. აქაური ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, ღვინიაშვილების

უბანში დაკრეფილი ყურძნის ღვინო ყველგანაა ცნობილი. ახალი წლის დილით საცხოვრებელ სახლში, ბოსელში, ბეღელში ნაძვის მწვანე ტოტებსა და წყლით სავსე ჭურჭლებს დავდგამთ. მეკვლესაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. პირველ და 2 იანვარს ფულის გასესხებისგან თავს ვიკავებთ. ბოსელში დაბმული პირუტყვის ზურგზე ჯაჭვს გადავატარებთ, რომ საძოვარზე ერთმანეთზე გადაბმულად იბალახონ. დილაადრიან დაჩეხილ შეშასა და ნაფოტებს ბუხრიან ოთახში შემოვიტანთ, რომ ნადის (მამითადი) დროს ადამიანმა არ დაგვაღალატონ. ცულსა და წალდს არ გამოვიყენებთ. ხმელ ხეს ეზოში არ შემოვიტანთ - ქვეწარმავლები და თაგვები მომრავლდებიან. ახალ წელს სუფრაზე ის ახლად გამომცხვარი მჭადი მოაქვს დიასახლისს, რომელშიც ლითონის მონეტაა ჩატანებული. მას ოჯახის უფროსი დატეხს და სუფრის წევრებს ჩამოურიგებს, ვისაც მონეტა შეხვდება, იმ წელს ფულის მოგების იღბალი მასთან იქნება. საცერში ფქვილს არ გაცრიან, არც წონის გირებს გამოიყენებენ – სახლში ბუზი და კოღო მომრავლდებაო, ნათესებსა და ნახირს გარეული ცხოველები შეესევიანო. ახალი წლის დღეებში თუ ორსული ქალი გესტუმრა, რასაც მოითხოვს, უარი არ უნდა უთხრა - თაგვს ვერც ყანაში მოიცილებ და ვერც ბეღელ-მარანში.

- უფროსი ვაჟი - გურამი სამტრედიაში სახლობს, შვილიშვილ ჯემალის მეუღლე თამუნა ზამთარაძეც იქაურია. ისინი თუ იცავენ ამ ტრადიციებს?

- იმერულ-აჭარული ტრადიციები ზეობს ჩემს ჯიშსა და ჯილაგში ქალიშვილები – ლიანა და ნაზიბროლა გურამისა და თამაზის შემდეგ მოევლინნენ წუთისოფელს. ნაბოლარა ნაზიბროლას – დანდალოელი ბერიძეების რძალს, წელს დაბადებიდან 50 წლის იუბილე გადავუხადეთ. ორი წლის წინ „საპატიო შუახეველის“ წოდება მომანიჭეს, თამაზი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შუახევის ცენტრის წარმატებულ სპეციალისტად დაასახელეს. სამტრედიელებიც ჩამოვიდნენ და მამა-შვილს ხალხმრავალი სუფრით მოგვილოცეს აღიარება. ოთხი შვილის გამზრდელი, 11 შვილიშვილის, 12 შვილთაშვილის მომსწრე, მალე კიდევ ერთს ველოდები, მათი სიკეთით ვხარობ.

- გაისად 75-ის გახდებით. პირველ შვილზე 19 წლით ხართ უფროსი...

- მეუღლე ეთერი ბარათაულელი ქათამაძეების კარზეა გაზრდილი. 55 წელია, ერთად მოვდივართ. ლხინიც და ჭირიც ერთი გვაქვს. შვილები სასახელოდ დაზარდა. ახლა შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე, საოჯახო საქმეებზე ზრუნვითაა დაკავებული. სკოლის დირექტორს სტუმარი მრავლად მყავს. ყველა მათგანს გულღიად ეგებება, სუფრაზე მისი ხელით მოყვანილ-გაკეთებული მოაქვს, შვილიშვილების ცოლებსაც კარგად შეასწავლა ადგილობრივი კულინარიაც. ნინო ქობულეთშია დაბადებულ-გაზრდილი, თამუნა – სამტრედიაში. ისინი კარგი „მოსწავლეები“ გამოდგნენ. ახლა ერთმანეთს არ აცლიან ბორანოს, სინორის, ყაისაფას, აჭარული და იმერული ხაჭაპურის მომზადებას. ერთი რამ მინდა ვთქვა: ნაადრევი მხოლოდ სიკვდილია ცუდი, არც აჩქარებაა ხეირის მომტანი. მე და ეთერი ამ დევიზით მოვდივართ და უფალიც სიკეთეს გვითესავს.

- თქვენი საახალწლო სურვილები...

- პირველ რიგში, აღსაზრდელებსა და კოლეგებს მივულოცავ დამდეგ ახალ წელს. დილის მოსვლა მიხარია - ღვინიაშვილების დაღმართს რომ დავუყვები, მოსწავლეების ყივილ-ხივილით ვხარობ. ისინიც მიმართლებენ. 55 წლის განმავლობაში მრავალი მათგანი ვაზიარე ზუსტ მეცნიერებას. ისინი წარმატებით საქმიანობენ ქვეყანასა და უცხოეთში. მათაც ვულოცავ დამდეგ ახალ წელს. ჩემს სათაყვანებელ საქართველოს, მის თითოეულ მკვიდრს კი უღრუბლო და მშვიდობიანი ცის ქვეშ ცხოვრებას ვუსურვებ.

ტურიზმის სექტორის დაჯილდოება – „მაგნოლია 2023“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტრადიციულ დაჯილდოებას, რომლის ისტორიაც 2015 წელს იწყება და ხელს უწყობს რეგიონში ტურისტული სექტორის წახალისებასა და სერვისის გაუმჯობესებას, ბათუმის მუსიკალურმა ცენტრმა უმასპინძლა. „მაგნოლია 2023“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე აჭარაში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები დაასახელეს



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურისტების, სექტორისა და ონლაინ ჯავშნების სისტემების შეფასებებს, კვლევებს იყენებს, რის მიხედვითაც ხდება ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებულების დასახელება. სანამ აჭარის ტურიზმის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშით წარსდგებოდა და განხორციელებულ პროექტებსა და ტურიზმის მიმართულებით რეგიონის მიღწევებზე ისაუბრებდა, შეკრებილებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მიესალმა. თორნიკე რიუვაძემ საზოგადოებას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს მიღწევა ქართველი ხალხის, მთავრობის ისტორიული არჩევანის დაგვირგვინებაა. მისივე თქმით, ქვეყანას წინ ძალიან ბევრი საქმე, არაერთი ამბიციური გეგმა აქვს და დარწმუნებულია, რომ ეფექტური გუნდი ყველა გამოწვევას ღირსეულად დაძლევს. მთავრობის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, მის ხელმძღვანელს და თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც მაქსიმუმს აკეთებენ რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის. თორნიკე რიუვაძის განცხადებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თითოეულ ადამიანს, მცირე, საშუალო თუ დიდი ტურისტული ობიექტის მფლობელს, ჰქონდეს მაქსიმალური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

- წარმატებული ტურისტული სეზონი მინდა მივულოცო ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, მის თითოეულ თანამშრომელს, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს შთამბეჭდავი შედეგების მიღწევაში. აქვე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბათუმისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. არაერთი საერთაშორისო აღიარება არის ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგი, არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ვუმასპინძლეთ როგორც სპორტის, კულტურის, ასევე, ფესტივალების თვალსაზრისით და შეიძლება თამამად ითქვას, რომ 2023 წელი ყველა მიმართულებით გამორჩეული და ნაყოფიერი იყო. მზარდია ნაკადები მაღალმთიან აჭარაში, რაც არის ახალი სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის ძლიერი ფუნდამენტი. გამოვიარეთ არცთუ იოლი გზები და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის, ძლიერი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაში. და რაც მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერმა ლოგიკური დაგვირგვინება ჰპოვა. ყველას კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რომელიც არის ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის ისტორიული არჩევანი, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

დაჯილდოების ცერემონიაზე აჭარაში საუკეთესო ტურისტული სერვისის მიმწოდებლები დასახელდნენ. რეგიონის საუკეთესო ბრენდულ სასტუმროდ „შერატონი“, საუკეთესო ჰოსტელად „ჰოსტელი 47“, ყველაზე პოპულარულ კაფერესტორნად „გაზაფხული“, ხოლო საუკეთესო სასტუმროდ „მონარქი“ დასახელდა. სოფლად საუკეთესო განთავსების ობიექტის ნომინაციაში გაიმარჯვა შატომ „ივერი“, ხოლო პოპულარულ ღვინის მარნის ნომინაციაში „შატო კვირიკე“. გარდა ამისა, მთიან აჭარაში ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილის ტიტული მწვანტბამ და გოდერძის ალპურმა ბოტანიკურმა ბაღმა, ხოლო, პოპულარული დაცული ტერიტორიის წოდება მტირალას ეროვნულმა პარკმა მიიღო. საუკეთესო ტურისტულ საგენტოდ „აჭარა ტური“, ხოლო საუკეთესო გიდად რომან ხალვაში დასახელდა. ყველაზე პოპულარული მუზეუმის ნომინაცია გონიოაფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ კომპლექსს ერგო, ყველაზე მონახულებად ტურისტულ ადგილად აჭარაში, ბათუმის ბულვარი დასახელდა, საუკეთესო ტურისტული მძღოლის ჯილდო კი ზვიად გოგიჩაიშვილს გადაეცა. ჯამში, ღონისძიებაზე, გამარჯვებულები 14 ნომინაციაში გამოვლინდნენ.

- ჩემთვის, როგორც ტურიზმის სფეროში დასაქმებულისთვის, საუკეთესო გიდის ნომინაციაში გამარჯვება უდიდესი პატივი და აღიარებაა. სტომულია, რომ კიდევ უფრო დიდი შემართებით ვაკეთო ის საქმე, რომელიც ასე ძალიან მიყვარს. ჩვენ, სამთო გიდებს ახალი მიმართულებებით გვიწევდა მუშაობა, ვატარებდით ინდივიდუალურ ტურებს და კოლეგებმა დამიფასეს ეს შრომა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. ასევე, მადლობას ვუხდი აჭარის ტურიზმისა და კურორტების საგენტოს, რომელიც მუდმივად გვიდგას გვერდში, - გვითხრა სამთო გიდმა რომან ხალვაშმა.

დაჯილდოებაზე „მაგნოლია 2023“ - ტურიზმის საპატიო ჯილდო, რომელიც შარშან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით დაწესდა, ტურიზმის სექტორისთვის მნიშვნელოვან ადამიანებს გადაეცათ.

ტურიზმის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის როსტომ გუნთაიშვილი დაჯილდოვდა. აჭარაში სპორტულ ტურიზმში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ჯემალ არობელიძე, კულტურული ტურიზმის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის კი ჯემალ მიქელაძე დაჯილდოვდნენ. აჭარაში კულტურული ტურიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო ამირან კახიძეს გადაეცა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის კი გივი აფაქიძე და მაია კუტუბიძე დაჯილდოვდნენ.

აჭარაში ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მადლობის სიგელები გადასცა კერძო და სამთავრობო სექტორის, ასევე, მედიის წარმომადგენლებს.

- „მაგნოლია 2023“ არის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება რეგიონისთვის, რომელზეც ვაჯამებთ წელს და ვაჯილდოვებთ ტურისტული სერვისების გამორჩეულ და წარმატებულ მიმწოდებლებს. ყველა გამორჩეული უწყება, სასტუმრო, კვების ობიექტი თუ გიდი დავაჯილდოვეთ და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადავუხადეთ. 2023 წელი, ტურისტული თვალსაზრისით, წარმატებული იყო. აჭარის რეგიონმა შეძლო, რომ სრულად აღედგინა პანდემიამდელი პერიოდის ნაკადები, გვაქვს მატება 2022 წელთან შედარებითაც. ჩვენი სტრატეგიაა გავხდეთ 4 სეზონის ტურისტული მიმართულება. ამ მხრივ წინგადადგმული ნაბიჯები გვაქვს. მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ვიზიტები ყოველწლიურად 20 პროცენტით იზრდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმი და ზოგადად, საქართველო მასპინძლობს საერთაშორისო ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის და რეგიონის ცნობადობის გაზრდას. მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელიც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს 30 პროცენტით გაეზარდა, გვაძლევს საშუალებას, რომ ოთხი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, - ქვეყნის პოპულარიზაცია, ტურისტული პროდუქტების განვითარება, სერვისის გაუმჯობესება და შიდა ტურიზმის სტიმულირება კერძო სექტორთან ერთად, აქტიური მუშაობით განვახორციელოთ, - გვითხრა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინა ზოიძემ.

თორნიკე რიჟვაძემ 2023 წელი შეაჯამა და დაგეგმილი სიახლეები გაგვაცნო

პირველი გვერდიდან

სხდომის მიმდინარეობისას მთავრობის თავმჯდომარემ რეგიონში სპორტულ მიღწევებზეც გაამახვილა ყურადღება და ახალი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო საზოგადოებას, რომლის მიხედვითაც, სახელოვან მოჭიდავე ლერი აბულაძეს საცხოვრებელი ბინა გადაეცემა. თორნიკე რიჟვაძის თქმით, აღნიშნული ჟესტი არის იმ მიღწევების დაფასება, რაც სპორტსმენს მიმდინარე წელს ჰქონდა. მთავრობის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოს ჩემპიონობა ბათუმის „დინამოს“ და გუნდს წარმატებები უსურვა მომავალშიც. თორნიკე რიჟვაძემ, ასევე, ისაუბრა სპორტისა და განათლების მიმართულებით რეგიონში არსებულ მიღწევებსა და დაგეგმილ სიახლეებზე.

- განათლების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე იგეგმება. 132 მილიონ ლარს შეადგენს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება, შესაბამისად, იგეგმება ახალი სკოლების მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ 7 ახალი სკოლა აშენდა ბოლო წლებში. შესაბამისად, ჩვენ გავაგრძელებთ ამ მიმართულებით ძალისხმევას, რაც იქნება ასახული როგორც სამინისტროს შესაბამის ამოცანებში, ასევე ,ბიუჯეტის დაგეგმარების დროს. აქვე აღვნიშნავ, რომ იზრდება დაფინანსება კულტურის სფეროს მუშაკთა წახალისებისა და მხარდაჭერის კუთხით. გაიზარდა დაფინანსება სპორტული ფედერაციების, ასევე საპრიზო ფონდების, რითაც, შედეგებიც მეტყველებს, რომ კიდევ უფრო მეტი მოტივაცია და სტიმული აქვთ სპორტსმენებს. რაც შეეხება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, 36 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული მომავალ წელს და პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში იქნება ახალი სპორტული კომპლექსები, რაც ამ სფეროში ჩართულ ადამიანებს მისცემს როგორც მომზადების საშუალებას, ასევე საერთაშორისო ღონისძიებების თანამედროვე სპორტულ სივრცეებში გამართვის. ამასთან, აღვნიშნავ, რომ გზების მიმართულებით გაიზარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგზაო დეპარტამენტის შესაბამისი დაფინანსება და მომავალ წლებშიც გაგრძელდება, პრაქტიკულად, ყველა დასახლებულ პუნქტში ახალი გზების მშენებლობა. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა როგორც გასულ წელს, 13 პროცენტზე მეტი, ასევე, წელსაც. ყველა წინასწარი მონაცემით ზრდა იქნება ორნიშნა და, რა თქმა უნდა, ამ ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი გახლავთ ტურიზმის სწრაფი აღდგენა. სრულად არის აღდგენილი ტურისტული ნაკადები. გასულ წელთან შედარებით გვაქვს 25-პროცენტიანი ზრდა, შესაბამისად, 4 მილიონზე მეტი ვიზიტი განხორციელდა აჭარაში და ოთხჯერ არის გაზრდილი ბოლო 11 წელიწადში ტურისტული ნაკადების რაოდენობა. ასევე, ძალიან მდგრადია შემოსავლები ტურიზმიდან, რაც გვაძლევს ბიუჯეტის შესაბამისად დაგეგმვის და ყველა იმ ღონისძიების საშუალებას, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ახალი ტურისტული ლოკაციების მოწყობას. ასევე აღვნიშნავ, რომ მაღალმთიან აჭარაში გვაქვს ტურისტული ნაკადების 20-პროცენტიანი ზრდა. შესაბამისად, სწორი მარკეტინგული ძალისხმევით და საიმიჯო ღონისძიებებით შევძლებთ, აჭარა ნამდვილად გადავაქციოთ 4 სეზონზე მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

თორნიკე რიჟვაძის თქმით, ასევე, გაზრდილია დაფინანსება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართულებით. მისივე ინფორმაციით, გაორმაგდა არასტანდარტულ ციტრუსზე სუბსიდია. მთავრობის თავმჯდომარემ მინისტრს დაავალა, მაქსიმალური ერთობლივი მუშაობით შეძლონ ციტრუსის სეზონის წარმატებით ჩატარება.

- ჩვენი მიზანია, აღნიშნული განხორციელებული ღონისძიებების, გაკეთებული საქმეების შედეგი იგრძნოს თითოეულმა ადამიანმა, აჭარის თითოეულმა მცხოვრებმა. ჩვენი, ყველას საბოლოო ამოცანაა, რომ არა მხოლოდ ტურისტებისთვის, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეებისთვის აჭარა იყოს როგორც საცხოვრებლად, ისე სამუშაოდ მიმზიდველი ადგილი, - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

თორნიკე რიჟვაძემ გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა სხდომაზე დამსწრე ოთხივე მინისტრს და შემდგომი წარმატებები უსურვა გუნდურ მუშაობაში.

„მისია კანდიდატის სტატუსის მისაღებად ქართველმა სპორტსმენებმა პირნათლად შეასრულეს“

მე-4 გვერდიდან

- თავიდანვე გეტყვით, რომ 2024 ოლიმპიური წელია. დიდი ალბათობით, გვეყოლება რამდენიმე ლიცენზიანტი და მინდა ყველა მათგანს ვუსურვო მთავარი სპორტული ოცნების ასრულება. ჩვენ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს მათ სათანადოდ მომზადებაში. რაც შეეხება უშუალოდ გეგმებს. მომავალ წელს კურორტ გოდერძიზე გაიმართება სათხილამურო სპორტში საქართველოს თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი, ბათუმში პირველად ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა, ჭადრაკში ვუმასპინძლებთ მსოფლიო თასს 8-12 წლამდელთა შორის, მაგიდის ჩოგბურთში გაიმართება მსოფლიო ტურნირი ახალგაზრდებს შორის, რომლის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია საქართველოს სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი. ფეხბურთში კვლავ ვუმასპინძლებთ საერთაშორისო ტურნირს 15-წლამდელთა შორის, შერეულ ორთაბრძოლებში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, ასევე პირველად, ბათუმში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში, თავისუფალ პირამიდაში. ზოგადად, ყველა სპორტულ ფედერაციას გაეზარდა ბიუჯეტი, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას, უფრო გაბედულად დაგეგმონ ღონისძიებები როგორც მასობრივ, ასევე მაღალი მიღწევების სპორტში. გაზრდილია სტიპენდიებისა და ერთჯერადი ჯილდოების ბიუჯეტი, დამსახურებულ მწვრთნელთა, სპორტსმენთა და ვეტერანთა სოციალური მხარდაჭერის დაფინანსება. გეგმები დამოკიდებულია ჩვენს ბიუჯეტზე, ამიტომ კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩართული იყო მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების პროცესში, ვინც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმუმი გააკეთა ჩვენი სპორტსმენებისათვის, სპორტის განვითარებისათვის.

- რაიმეს ხომ არ დაამატებთ?

- მგონი, საკმარისად ვისაუბრეთ. მადლობა თქვენ ინტერესისა და შეკითხვებისთვის. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ. მშვიდობა და ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო ყველას.

«აჭარაში» განთავსებული განცხადებების ღირებულება



სამგლოვიარო განცხადება: სიტყვა 30 თეთრი

ნეკროლოგი: სიტყვა 30 თეთრი

მილოცვა: სიტყვა 50 თეთრი

აუქციონები: სიტყვა 50 თეთრი

ფოტომილოცვა: ფოტო 5 ლ. სიტყვა 50 თ.

ხსოვნა

ანა დუნდუა



ბათუმს, ჩვენს მწერლობას გამორჩეული ქალმოსანი და შესანიშნავი ადამიანი გამოაკლდა. ვინც ანა დუნდუას იცნობდა, და ასეთია მთელი ქალაქი, სრულიად აჭარა, ყველას ახსოვს მისი განსაკუთრებული, ადამიანური დამოკიდებულება და სითბო. ანა დუნდუას გარდაცვალებამ სევდასთან ერთად დაგვიტოვა დიდი სიყვარული, რომლითაც იგი ყველას აჯილდოებდა და საპასუხოსაც იმკიდა.

„ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მწერალი, დიდი სიკეთით და სითბოთი გამორჩეული ქალბატონი - ანა დუნდუა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის წევრი.

აჭარის მწერალთა სახლი და ჟურნალი „ჭოროხი“ მწუხარებით თანაუგრძნობს მწერლის ოჯახსა და საზოგადოებას.

იგი დაიბადა 1939 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში. ოქროს მედალზე დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომისტის სპეციალობით.

ავტორია ათი წიგნისა: „გამიშვი და გაგიშვებ“ (1982 წ.), „იფოთლებოდა ნეკერჩხალი“ (1985 წ.), „მე და შენ ვერასოდეს დავქორწინდებით“ (1989 წ.), „ფრთხილად, მამაკაცებო!“ (1997 წ.), „მონატრებავ, დაუსაბამო...“ (2002 წ.), „როცა ასეთი სიყვარულია“ (2005 წ.), „მონატრება“ (2010 წ.), „სევდა ულევი“ (2013 წ.), „მისტერია სულისა“ (2016 წ.), „ნატვრა“ (2021 წ.).

ანა დუნდუა წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში კონსულტანტად, ჟურნალ „ჭოროხის“ სტილისტად.

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ანა დუნდუა დაჯილდოებულია ღირსების მედლით და ქალაქ ბათუმის მერიის ფულადი პრემიით. მიღებული აქვს ჟურნალ „ნიანგისა“ და მარიკა ბარათაშვილის პრემიები.

ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება“, - ვკითხულობთ აჭარის მწერალთა სახლის ფეისბუქგვერდზე.

შპს „ბაზეთი აჭარა და ადჭარია“

ჩვენი ანა!

უზომოდ დამწყვიტა გული, რატომღაც უფრო ძლიერი და კაჟივით ჯანმრთელობის მქონე მეგონა. მუდამ ენერგიულს, სხვათა დასახმარებლად მზადმყოფს, სიკეთის და სიყვარულის სხივებით სავსე ჰქონდა გული, თუმცა, სწორედ ამ გულმა უღალატა...

უხდებოდა ბათუმს ეს კაფანდარა, პეპელასავით მსუბუქი ფარფატით ქალაქის ქუჩებში მიმავალი ქალი...

რა დამავიწყებს მეც და უამრავ მის ნაცნობ-მეგობარს, ანა დეიდას სტუმართმოყვარეობას. იმ ბნელ და ცივ წლებში, როცა შუქიც, გაზიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხელი ჩაიც კი სანატრელი იყო, მწერალთა სახლის პირველ სართულზე, ანა დეიდას ოთახში მუდამ თბილოდა, ცხელ ღუმელზე იდგა მოთუხთუხე ჩაიდანი და ხანდახან შაქარი თუ შემოელეოდა, ჩაიზე მისაყოლებლად კანფეტები მუდამ მზად ჰქონდა. არც კი გეკითხებოდა, გინდოდა თუ არა, გამასპინძლება ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი... მერე მიდიოდა საუბრები ლიტერატურაზე, პერსონაჟებზე, მათ დადებით თუ უარყოფით ხასიათებზე... უამრავჯერ გვისაუბრია მისი მოთხრობის გმირებზე... ამბობდა, რომ მისი პერსონაჟების სახეები რეალურ ცხოვრებაში გაცნობილი ადამიანები იყვნენ. ქალის თემა მის შემოქმედებაში მთავარი გახლდათ.

არ მახსოვს, არცერთი დიდი ღონისძიება მწერალთა კავშირში, საჯარო ბიბლიოთეკაში, სკოლებსა თუ სხვადასხვა შეხვედრაზე, ქალბატონი ანა არ გამოსულიყოს, თავისი ხმამაღალი სიტყვა არ ეთქვას და ღონისძიების ორგანიზატორსა თუ იუბილარს არ მოფერებოდა.

საოცარია წუთისოფელი... ჯერ გამოგიხმობს სამზეოზე, მთელ მის ხიბლს გაზიარებს, გაგაბრუებს სიცოცხლის დამბანგველი სურნელით და ისე უცებ ჩაივლის, გეგონება ნიავის ერთი ჩამოქროლება იყოს სიცოცხლის საწყისსასრული... მაგრამ უკვდავების შესაძლებლობასაც გაძლევს. ისეთ ნიჭს მოგმადლებს, რითაც შთამომავლობას წარუშლელ კვალს უტოვებ. ქალბატონი ანა შესანიშნავი პროზაიკოსი და არაერთი წიგნის ავტორი გახლდათ. მიძღვნითი ხასიათის ლექსებს, ანუ მადრიგალებსაც წერდა, თუმცა ამბობდა: პროზა ჩემი სიცოცხლეა, მაგრამ მტკივნეული... ლექსით კი ვერთობი და სხვებსაც გულს ვუხარებო.

ასე მგონია, ჩვენი ქალაქის ქუჩები ინახავენ იმ დიდ ადამიანთა ნაკვალევს, მათ ხმას და ნაღვაწს, რომლებმაც უანგაროდ მიუძღვნეს გული ბათუმსა და ბათუმელებს. მათ შორისაა ჩვენი ტკბილი ანა, რომელიც უკვე ზეციური საქართველოს მკვიდრია, მაგრამ მისი შემოქმედებით მუდამ დარჩება ჩვენს გულსა და გონებაში.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი საფიცარი სამშობლოს მიწა, სიმშვიდე და ნათელი შენს ლამაზ და სათნო სულს.

ბელა ძებურია

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/12/23, 19 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მამა-შვილი ავთანდილ და ლერი აბულაძეები - წლის საუკეთესო მწვრთნელი და სპორტსმენი

წლის ბოლოს, ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა სფეროში შემაჯამებელი ღონისძიებები იმართება. არც ჩვენი რეგიონია გამონაკლისი. ბევრი წარმატებული ადამიანი გვყავს სპორტის სფეროში და ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებითა და პრიზიორებით, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებით...

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის შემაჯამებელ ღონისძიებას, რომელსაც სასტუმრო „შერატონმა“ უმასპინძლა, სპორტის სფეროს წარმატებულ სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან ერთად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მოადგილეები, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. განვლილი წარმატებული და დამდეგი ახალი წელი მათ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მიულოცა.

- სპორტის მიმართულებით, ბევრი მიღწევები გვაქვს როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ სახეობებში და ეს არა მარტო აჭარის, არამედ მთელი ქვეყნის გამარჯვებაა, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. ბევრჯერ მოგვეცით საშუალება თქვენით გვეამაყა, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას მუდმივი მხარდაჭერა სჭირდება და ეს მხარდაჭერა ჩვენთვის კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება, - აღნიშნა მან.

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში იზრდება სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის პროგრამების დაფინანსება. გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სპორტსმენების თანადგომა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენების, ასევე, მათი პირადი მწვრთნელების საპრიზო თანხა, რომელმაც მილიონს გადააჭარბა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის სპეციალურმა კომისიამ წლის შედეგები შეაჯამა და გამოავლინა საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები, ახალგაზრდა სპორტსმენები, პარასპორტსმენები, ვეტერანი სპორტსმენები, სპორტული ჟურნალისტები, საუკეთესო სპორტული ფედერაცია; სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაწესებული იყო სხვადასხვა ნომინაცია.... წარმატებულებს როგორც სიგელები, ისე სპეციალური ჯილდოები და სასაჩუქრე ვაუჩერი გადაეცათ.

- წელს უპრეცედენტო რაოდენობის მედლები მოვიპოვეთ. მომავალი წელი ოლიმპიურია და ველოდებით პარიზის ოლიმპიადის ლიცენზიებს. ეს გამარჯვებები სპორტისადმი ხელისუფლების მხარდაჭერამ განაპირობა. წარმატებულ სპორტსმენებს ენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია, რაც საუკეთესო მოტივაციაა მათთვის, - აღნიშნა სპორტის. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს, მათ ოჯახებს, მწვრთნელებს, ყველას, ვინც ამ დიდ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანა და მთავრობის თავმჯდომარეს - თანადგომისთვის.

- ეს წელი ჩვენთვის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო. აჭარის სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს სახელით მაღალი რანგის შეჯიბრებებში ასპარეზობენ, სხვადასხვა სინჯის 300 მედლის მფლობელები არიან, მათ შორის, 74 ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორია, ამათგან 8 - მსოფლიო ჩემპიონი, 16 კი ევროპის ჩემპიონია. საკმაოდ მაღალია ჩართულობა მასობრივ სპორტშიც, განსაკუთრებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის მხრიდან. წელს პირველად, აჭარიდან სამი სკოლა გახდა სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული, მათ შორის, მინიფეხბურთში (ბათუმის №8 საჯარო სკოლა), ფრენბურთში (უჩხოს სკოლა), მაგიდის ჩოგბურთში (ვაშლოვანის სკოლა). „ვჯერა, სპორტის სფეროს ხელშეწყობით, ჩვენს სპორტსმენებს მომავალი წელიც წარმატებული ექნება, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

მომავალი წელი ინფრასტრუქტურული პროექტებითაცაა დატვირთული, რაზეც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე გვესაუბრა:

- დაახლოებით 35 მილიონი ლარია გათვალისწინებული აჭარის პროექტების მართვის კომპანიის ბიუჯეტში, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს დაიწყება ბათუმის ყინულის არენისა და საცურაო აუზის, ასევე, ქობულეთის საცურაო აუზის, აგრეთვე, ახალი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობა, ასეთივე დარბაზი აშენდება ახალსოფელშიც. მუნიციპალიტეტებში დაიწყება სხვადასხვა ტიპის რაგბის მოედნების მშენებლობა, ექსპლუატაციაში შევა ჩაქვში ძალოსნობის შესანიშნავი სასახლე, უნიკალური პროექტით დაიწყება ჭადრაკის სასახლის მშენებლობა, ჩოგბურთის კორტების მშენებლობა-რეაბილიტაცია... ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის კიდევ უფრო განვითარებასა და პოპულარიზაციას, - აღნიშნა მან.

როგორც ჯაბა ფუტკარაძემ გვითხრა, ყურადღების მიღმა არც სპორტის დედოფალი - მძლეოსნობა დარჩება.

დაჯილდოების ცერემონიაზე წლის საუკეთესო მწვრთნელად ავთანდილ აბულაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) დასახელდა, წლის სპორტსმენი კი მისი შვილი, ლერი აბულაძე გახდა, რომელსაც თავად წვრთნის.

ლერი აბულაძე წელს თავისი სპორტული შედეგებით ნამდვილი გმირია. მან ერთდროულად მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა, რაც ჩვენი რეგიონის ისტორიაში პირველია, საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციამ ლერი აბულაძე წლის საუკეთესო მოჭიდავეთა შორის დაასახელა.

- ბედნიერი ვარ, წლის საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს, ჩემი შვილიც საუკეთესო სპორტსმენი გახდა. მომავალ წელს ოლიმპიადა ტარდება და მინდა აჭარა, საქართველო, ოლიმპიური მედლითაც გავახაროთ - საფრანგეთიდან წარმატებით დავბრუნდეთ, - თქვა ავთანდილ აბულაძემ.

დაჯილდოების ცერემონია, რომელზეც ათობით სპორტსმენსა თუ მწვრთნელს გადაეცა დამსახურებული ჯილდო, გაალამაზეს ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მთაწმინდამ“ და ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმმა“.

წარმატებულ სპორტსმენებს საჩუქრად მხატვარ მაია გერსამიას მიერ შესრულებული საკუთარი პორტრეტები გადაეცათ.

P.S. *გუშინ სასიხარულო ამბავი გავრცელდა - აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის გადაწყვეტილებით, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონს, წლის საუკეთესო სპორტსმენ ლერი აბულაძეს საჩუქრად ბინა გადაეცემა.*

„წლის ხელოვანი“ - ნატალია ორაგველიძე და ვახტანგ გორდაძე

რამდენიმე წელია, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, კულტურის სფეროში წარმატებული ხელოვანების საზეიმო დაჯილდოება იმართება

პროექტს ბათუმის მერია ახორციელებს და მისი მიზანი კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა და წარმატებული ხელოვანების წახალისებაა.

შეკრებილებს დამდეგი ახალი წელი ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მიულოცა. შემდეგ გაიმართა ნომინანტთა საზეიმო დაჯილდოება.

„წლის ხელოვანი“ ნატალია ორაგველიძე და ვახტანგ გორდაძე გახდნენ.

„რჩეული ხელოვანი“ - ზურაბ ფირცხალაიშვილი, ანზორ ჯაველიძე, თეიმურაზ ბოლქვაძე; „წლის დებიუტანტი“ - ალეკო ქედელიძე, კესარია ალელიშვილი; წელს ამ ტრადიციულ ღონისძიებას, რომელსაც სასტუმრო „ჰილტონმა“ უმასპინძლა, აჭარის მთავრობის, საკრებულოს, მერიის წარმომადგენლები დაესწრნენ. წარმოგიდგენთ დანარჩენ ნომინატებში გამარჯვებულებს: „დიდოსტატი“ - გენრიეტა ქუთათელაძე, გელა ვადაჭკორია, დავით მუქერია, მერაბ ბოჭორიშვილი, მაგდანა მათითაიშვილი; „ხელოვანი ბათუმისთვის“ - ნონა დიასამიძე, ლიანა ხარებავა, ირაკლი კორიფაძე, ზაზა ხამათაშვილი, ინგა ბოცვაძე, ნათელა ხომერიკი, რევაზ ბაინაზიშვილი, ნიკოლოზ ვადაჭკორია, ალექსანდრე აბუსელიძე, თეიმურაზ შალვაშვილი, მედეა შალაძე, თეიმურაზ დოლიძე; „წარმატებული ხელოვანი“ - დავით ბოლქვაძე, ლიანა აბულაძე, ავთანდილ ქარჩავა, არსენ (სულხან) დევაძე, თეიმურაზ მახარაძე, კალისტრატე ცინცაძე, არჩილ გოგიტიძე, თინათინ წულაძე; „წლის კულტურის მუშაკი“ - ლილი ვარშანიძე, შორენა ცინცაძე, ემზარ შავლიძე, ქეთევან გიორბელიძე, ნინო ნუცუბიძე; „ნაყოფიერი მუშაობისათვის“ - გალინა მუსაევა, ნინო მაჭარაძე, მარინა დადიანი, არევატ სიმონიანი, ელენე კონკალიდი, თამარ მესხიძე, ჯემალ სურმანიძე; „წლის კოლექტივად“ - ჯაზ ბიგ ბენდი დასახელდა; „წლის აღიარებად“ - ახალგაზრდული მუსიკალური თეატრი.

- დღეს გადმომეცა ჯილდო, რომელიც ძალიან მეამაყება. ეს ქალაქის, ხალხის სიყვარულია. დიდი მადლობა ამ დაფასებისთვის, - გვითხრა ვახტანგ გორდაძემ.

- ჩემთვის ეს ჯილდო უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ ბოლო დროს ჩემი ქალაქი, სამინისტრო ჯილდოებით მანებივრებს, წელს მართლაც მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ სხვადასხვა ქვეყანაში. გამოვარჩევ იერუსალიმსა და ნეაპოლში გამართულ ქართული კულტურის დღეებს, სადაც წარმატებით გამოვიდა ჩვენი უკვე ცნობილი და საამაყო პიანისტი ბაჩი მიქელაძე. შესანიშნავი თაობა მოდის და იმედი მაქვს, რომ ბაჩის გზას ღირსეულად გააგრძელებენ. სასიამოვნოა, რომ ბათუმის მერია ასეთ ყურადღებას იჩენს ხელოვნებისადმი, რაც ყველას გვახარებს. უღრმესი მადლობა მათ დაფასებისთვის, ჩვენ კი ყოველთვის ვუერთგულებთ საყვარელ ქალაქს, - აღნიშნა „აჭარასთან“ ნატო ორაგველიძემ.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა